ვარდისფერი ჭინკა

ზღაპრების ქვეყანაში, მაღალი კლდის გამოქვაბულში, ერთი კურკანტელა, პაწია ჭინკა ცხოვრობდა. იქ სხვებიც იყვნენ, მისი მსგავსნი: პანკვალები, გრძელკისერები და კნაჭაფეხებიანები. ვერცხლისწყალივით ხვანცალები, ცეტები და ცალტვინები. დილიდან საღამომდე ეძინათ და ეძინათ. დღის სახილველს ვერ ხედავდნენ, ამიტომ ცოტა რამ იცოდნენ. თვალი სულ ეშმაკობისაკენ ეჭირათ. ბინდისას გაიღვიძებდნენ, თხის ტყავზე მიწოლილები ხშირად მთელი საათობით ლაყბობდნენ. შუაღამისას კი უხუცესი ჭინკა წკეპლით წამოყრიდა ყველას და გარეთ გარეკავდა. ისინი წკმუტუნით, წიოკით, ფხაკაფხუკით გამოეფინებოდნენ ტყეში. ერთმანეთთან თავმიდებულები, შეთქმულთა გამომეტყველებით ალაპარაკდებოდნენ, ავისმანიშნებლად ხითხითებდნენ და მერე, ზოგი სად, ზოგი საით, აცაბაცა, ტუსტუხით მოედებოდნენ შარაგზებს. სანახშოზე ჩამოივლინენ, წყაროსთან... ხევის პირს, წყლისპირებთან. მხოლოდ დასაძინებლად მიდიოდნენ გამოქვაბულში. დანარჩენ დროს მთელი საათობით ჩაუსაფრდებოდნენ მგზავრებს და უკუნეთ ღამეში ბრდღვიალა თვალებს აპარპალებდნენ. თუ ვინმეს შეაშინებდნენ, უხაროდათ. თუ რომელიმე ღამეს ვერავის მოიხელთებდნენ, დაზაფრული ბრუნდებოდნენ. გამოქვაბულის კარებთან აიტუზებოდნენ. უხუცესი ჭინკა, სახრით ხელში მოვარდებოდა, ყველას სათითაოდ წიხლს ამოარტყამდა:

_ თქვე დოყლაპიებო, თქვენა! უქმად რისთვის იხეტიალეთ! _ დასჭყივლებდა და ნახირივით შერეკავდა გამოქვაბულში.

ერთხელ, კურკანტელა ჭინკამ, სხვებთან ერთად მოედანზე ყირას რომ გადადიოდა, თვალი მოჰკრა, უხუცეს ჭინკას იღლიის ქვეშ, ბალანზე, პაწაწკინტელა გასაღები მიემაგრებინა. „გასაღები?! რას გვიმალავს?“ _ გაუკვირდა და იმღამითვესაიდუმლო თავის ძმებს _ წიოკას და ჭყიპინას გაანდო. რამდენიმე დღეს ეშმაკუნებს აუსრულებელი ცნობისწადილი ჰკლავდათ.

ერთხელაც, ყველა რომ წავიდ-წამოვიდა, უხუცესმა ჭინკამ პატარები მოედანზე სავარჯიშოდ გამოიყვანა, ასწავლიდა, უჩვენებდა, როგორ უნდა შეპარულიყვნენ სოფელში და შეეშინებინათ ხალხი.

პატარა ჭინკებმა ბევრი არბენინეს უხუცესი, აყვირეს, ახტუნავეს, არაქათი გამოაცალეს, ისე რომ ზეზეულად ეძინებოდა. გამოქვაბულში შევიდა, საწოლზე გაიშხლართა და ბანგდალეულივით ჩაეძინა. პატარა ჭინკებსაც ეს უნდოდათ, ფეხაკრეფით მიეპარნენ და წვეტიანი ფრჩხილებით გასაღები შეძსნესყ

_ მერე და ამით რა უნდა გავაღოთ? _ ახლაღა მოისაზრეს და დაღონდნენ. სად იყო და სად არა, სიბნელეში ციცინათელა აციმციმდა. ძმები დასაჭერად აედევნენ. მწერი გამოქვაბულის სიღრმეში შეფრინდა. უცებ ციცინათელა გაუჩინარდა.

_ ე! _ გაიკვირვა წიოკამ და თვალები ჭყიტა.

_ აი, აქ გაქრა! _ წიხლი ჰკრა ცხვირწინ აყუდებულ ოთხკუთხა ლოდს ჭყიპინამ. ანაზდად, ლოდი შექანდა.

_ ი! _ გაიოცეს სამთავემ ერთად. ლოდს დაეჯაჯგურნენ და ოდნავ შემოატრიალეს. და ჰოი, საკვირველებავ, რკინის ჭიშკარი არ დალანდეს! გაბეცდნენ. მერე გაღება აოინდომეს. დაეჯაჯგურნენ, ძვრა ვერ უყვეს, ჭიშკარი ბოქლომით იყო დაკეტილი.

_ რა ექნათ? _ ჩაფიქრდნენ. იფიქრეს, იფიქრეს და წამოიყვირეს:

_ აა! ჩვენ რომ გასაღები ვიპოვეთ, ეს ალბათ ამისიაო! _ ძლივს მოისაზრეს ბენტერებმა. ბოქლომს გასაღები მოარგეს და ჭიშკარი გააღეს. ჭიშკარს იქით გვირაბი გადიოდა... ჭინკები გვირაბში შევინენ. იარეს, იარეს და უცებ წალკოტში აღმოჩნდნენ, რამდენიმე ნაბიჯიც და... გახევდნენ. გაბეცდნენ. გაშტერდნენ. მთვარის შუქში მოლიცლიცე პაწია ტბა დაინახეს. ტბაში _ ყვავილი. ჭინკებს ასეთი რამ არასოდეს ენახათ.

ყელმოღერებით ეძინა ყვავილს. მთვარის ოქროსფერ ჩრდილში ჩაყუჟულს ნამით დაცვარული ფოთლები უცახცახებდა. სიზმარს ხედავდა ალაბთ. ვერცხლისძაფა მთვარე ბაგეს უკოცნიდა. ყვავილის სურნელებით გაბრუებული სხივები წალკოტში მთვრალებივით დაბანცალებდნენ. თვალები დაეჭყიტათ ჭინკებს. კისერგაწვდილები და ენაჩავარდნილები იდგნენ. ყვავილის მშვენიერებით მოხიბლულებს წამწამები ერთხელაც არ დაუხამხამებიათ. კარგახნის მერე, თითქოს სიზმრიდან გამოერკვნენო, აყიჟინდნენ, ყვავილს ირგვლივ შემოურბინეს.

_ ეს რა ენახეთ, ეს რა ვნახეთ! _ ჭყიპინებდა ჭყიპინა.

_ რა ვნახეთ! რა ვნახეთ! _ ბანს აძლევდა წიოკა.

მხოლოდ კურკანტელა იდგა უძრავად. შეფრფინვით შესცქეროდა ყვავილს. ადრე მთვარე, ვარსკვლავები, ღრუბლებიც ხიბლავდა, მარამ ისინი სიცივეს გამოსცემდნენ თითქოს. ყვავილი კი რაღაცნაირ სითბოში ხვევდა. უცებ მოეჩვენა, რომ ყვავილი შეირხა. წამით თვალი გაახილა და გაუღიმა. დამატყვევებელი შუქი გამოასხივა. ამ სხივმა კურკანტელას შიგ გულისგულში გაუარა და, ჰოი, საკვირველებავ, თავადაც გაეღიმა ჭინკები ხომ არასოდეს იღიმებონენ მათ ხარხარი, ქირქილი ეხერხებოდათ მხოლოდ.

გაიღიმა კურკანტელამ და ღიმილთან ერთად, როგორც მზის მძლავრი სხივები ჩაშავებულ წყლის ფსკერს გაანათებენ, ისე განათდა მის სულში რაღაც. გულში აქამდე უცნობი ტკივილი იგრძნო. სხვისი ბედის გამო ტკივილი. გულფუღურო ჭინკებისათვის უცხო ეჭვი აუფუთფუთდა:

„რატომ ჩაკეტეს ნეტა ყვავილი?! რატომ დაადეს წალკოტს ბოქლომი?“ _ კურკანტელა ჯერ კიდევ ამაზე ფიქრში ყო გართული, რომ ძმები მოვარდნენ.

_ არ გესმის?.. გვეძებენ!

_ წავიდეთ! _ დაიყვირეს ძმებმა და წალკოტი სასწრაფოდ დატოვეს.

პაწია ჭინკები ფეხაკრეფით შელაგდნენ დაცარიელებულ გამოქვაბულში. ფართხაფურთხით მიაყუდეს ლოდი თავის ადგილზე და კუთხეში მიიკუჭნენ.

_ აქ, აქ არიან! _ დაიწკუვლა ვიღაცამ და თვალისდახამხამებაში მთელი ჭინკების ხოვა ბურთივით შემოვარდა შიგ. უხუცეს ჭინკას წკეპლა აღემართა.

_ სად იყავით?! _ დაიჭყივლეს ერთხმად.

_ არსად, გამოქვაბულის ნაპრალებში კუკუმალობას ვთამაშობდით! _ არ დაიბნენ წიოკა და ჭყიპინა.

ჰო? თურმე თამაშობდნენო, _ დაიჯერეს ჭინკებმა და დაწყნარდნენ. მხოლოდ უხუცესს ღრღნიდა ეჭვი. მათრახი ისევ შემართული ეჭირა. თვალებისწკურვით ათვალიერებდა აცუნცრუკებულ ძმებს. ნაზდად, თავისდაუნებლიედ, ხელი იღლიისაკენ წაიღო და თითებს გასაღეი რომ ვერ მოხვდა, შეხტა. მერე ისეთი შეჰყვირა, გეგონება, მეხი დაეცა თავზეო.

_ რა დაგემართა? _ ჰკითხეს ჭინკებმა.

გასაღები დამეკარგაო, ვერ იტყოდა, ამით თავის საიდუმლოს გაამჟღავნებდა. წელკავმა გამკრაო! _ ესღა მოისაზრა და ხელი ყასიდად წელზე წაივლო.

_ თენდება. თქვენ კი ისევ ფეხზე ხართ. აბა, სასწრაფოდ დაიძინეთ! _ ამოიღნავლა.

ჭინკები თავთავიანთ საძინებლებზე მიწვნენ. უხუცესმა კარგახანს იბორგა, გაიხსენა... ჭინკებმა პირველად როგორ დაიდეს ბინა... აქ უდაბურში, გახრიოკებულ, უსიცოცხლო ადგილზე, გამოქვაბულში. გაიხსენა როგორ გადააწყდა გვირაბს... წალკოტს... როგორ მოიხიბლა პატარა ტბაში ამოზრდილი, უცხო ყვავილით. და შეამჩნია თუ არა თავის თავს, ყვავილის დანახვით, მგონი ჭინკები აღარ მომწონანო, შეშინდა. სიც გაიფიქრა: ვაითუ, სხვებმაც მიაგნონ წალკოტს და ჩემი გაბანჯგვლული სხეული აღარ მოეწონოთ? მაშინ ხომ აღარ დამიჯერებენ, ვეღარ ვიბატონებ მათზე, დავიღუპებიო.

გაიფიქრა თუ არა ეს, წყალში შეტოპა და ყვავილი მოწყვიტა. მეორე დღეს ახალი ამოიზარდა. ისევ მოგლიჯა. კვლავ ამოვიდა... ბოლოს სხვებისგან მალულად, გვირაბს ჭიშკარი შეაბა. ბოქლომი დაადო და ზედ ვეებერთელა ლოდი მიაყუდა. ველა ჭინკას რომ ერთნაირად ეაზროვნა, ერთნაირად ეფიქრა ...ყველანი რომ ერთნაირები ყოფილიყვნენ, ყვავილი ჩაკეტა.

მის მერე იქით აღარ გაუხედავს. საიდუმლო საიდუმლოდ დარჩა. თავად ბინდიდან გათენებამდე, აღმა-დაღმა, მუხლჩაუხრელად დადგლაფუნობდა, რომ ყვავილის ნახვის სურვილი გაჭქრობოდა. პატარებს დაუწყო წვრთნა, რომ დრო მოეკლა. ავარჯიშებდა... დროდადრო მათრახს უტყლაშუნებდა, კანი გაუსქელდებათო... უთვალთვალებდა, რომ გვირაბს არ წაწყდომოდნენ.

გაზრდილ, ცალტვინა ჭინკებს ყვავილის ხილვა ვეღარას დააკლებდათ. მაინცდამაინც არც ის უნდოდა, დიდ ჭინკებს ჩაკეტილი, უცხო ყვავილი ენახათ. ვინ იცის, მისი ხილვით ვინ რა ჭკუაზე დადგებოდა. აგერ, საუკუნეები გავიდა. იმ წალკოტის ამბავს საიდუმლოდ ინახავდა ეხლა კი... უხუცესი ჭინკა ბრაზისაგან აქშუტუნდა, გულს ასკდებოდა, გასაღები რისთვის დაეკარგეო. ამ ქშუტუნ-ქშუტუნში ჩაეძინა.

კურკანტელას კი არა და არ დაეძინა. ვერ ისვენებდა. გულს გამოუცნობი და გაუგებარი რაღაც დააწვა. შესცქეროდა გაპანკვლულ ჭინკებს და თავადაც აოცებდა ის, რომ აღარ მოსწონდა მათი დაგვალული, გაბანჯგვლული, დაღვრანჭული სხეულები. მა გამოჩირჩლული უაზრო თვალები. მათი ყურებამდე ჩახეული, მუდამ სახითხითოდ გამზადებული ლაშები.

იმ დღიდან კურკანტელას აღარ ეხალისებოდა მოედანზე ჯირითი...

„რატომ უნდა შევაშინო ვინმე? რატომ უნდა ჩავუსაფრდე? რატომ უნდა ვიქირქილო?“ _ გაუჩნდა ეჭვი. მუხლებდაღლილივით დადიოდა. მარტოფქრა გახდა. თვალებში ნაღველი ჩაუდგა. გამომეტყველებაც სხვანაირი გაუხდა.

_ ეი! _ დაუყვირა ერთ ღამით უხუცესმა ჭინკამ, _ რატომ არ დგახარ ყირაზე?! აბა, ჩქარა. ნუ იზლაზნები! ჩქარა-მეთქი! _ ყურთან ახლოს გაუტყლაშუნა მათრახი. მათრახის შხუილზე კურკანტელას უნებლიედ გაეღიმა. _ ეგ, ეგ, როდის ისწავლე?! _ თვალები გადმოცვენაზე გაუხდა უხუცესს, _ ვინ გასწავლა?

რა ღიმილზე მელაპარაკებიო, თავადვე გაუკვირდა კურკანტელას და მხრები აიჩეჩა.

_ მე შენ გიჩვენებ! აღარ გაბედო გაღიმება! მხოლოდ იხარხარე! იქირქილე!.. დაიმანჭე!.. _ აჰკივლა და წკეპლა გადაუჭირა.

კურკანტელას ასე არასოდეს უგრძვნია ტკივილი, თავისმა მორჩილებამ პირველად ახლაღა გააღიზიანა. საოცრად გულისამრევად ეჩვენა ყველაფერი... უცებ სურვილი

მოეძალა _ კვლავ ენახა ყვავილი. თვალებში ჭიაკოკონა აუბრიალდა. იმ წამში თითქოს უფროსისადმი უსაზღვრო შიშიც გაუქრა. და იმავე დღეს, გათენებისთანავე, ჭინკებმა რომ დაიძინეს, კურკანტელა წალკოტში შეიპარა. იქ იმ დროს მივიდა, ყვავილი რომ თვალებს ახელდა, იშლებოდა. ო, რა მშვენიერი იყო. რა სურნელებას აფრქვევდა... კურკანელა გაბურსალებული იდგა, მერე ადგილს მოსწყდა. დგლუმფ! _ ჩახტა წყალში, ყვავილთან გატოპა და მოწიწებით, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად თითები შეახო. ლოყა მიადო და მიელაციცა.

და ჰოი, საოცრებავ! ყვავილის სუნთქვა იგრძნო. წყნარი, მშვიდი, ალერსიანი.

უცებ, ყვავილი შეირხა და დაიჩურჩულა:

_ კრინტი არავისთან დაძრა, თორემ ჩემს ნახვას არ გაპატიებენ.

კურკანტელა წალკოტში კვალგაუმხელელად დადიოდა. ყოველთვის, იქიდან რომ ბრუნდებოდა, ყვავილის მტვერში ამოგანგლული სხეული მქრქალი ვარდისფერი ჰქონდა. მერე ქარი, ან მიწაზე ფხოკიალი შემოაცლიდა ხოლმე.

ჩაშავებული ჭინკების სხეული ღამის სიბნელეს ერთოვდა და თითქოს შიგ ითქვიფებოდა. მათი ნაკვერჩხალივით ბრდღვიალი თვალებიღა მოჩანდა. მხოლოდ კურკანტელა ჩანდა უცხოფერი. ეს განსხვავება არავის შეუმჩნევია, უხუცესმა ჭინკამ შეამჩნია და იღრიალა. კურკანტელას ეძგერა. ხელი დაავლო ძირს დაახეთქა და წკეპლით სულ გვერდები აუსუსხა.

_ კიდევ წახვალ!.. კიდევ მომპარავ!.. ეხლაღა შეგამჩნიე (ვარდისფერი რომ ხარო, _ უნდა ეთქვა და დროზე დააჭირა ენას კბილი.) _ რისხვას აფრქვევდა.

ცალტვინა ჭინკები ვერაფერს ხვდებოდნენ.

ჩვეულებრივად ქირქილებდნენ: _ ეგრე მოგიხდება, შენი უფროსია და უნდა გაუგონოო. წიოკა და ჭყიპინაც უაზროდ აცეცებდნენ თვალებს. სულ აღარ ახსოვდათ გასაღები, გვირაბი და ყვავლიც კი. ის განცვიფრება, მაშინ რომ უცბად ეწვია, ისევე უცბად გაუსხლტათ. ის მათთვის, კურკანტელასაგან განსხვავებით, წუთიერი სიამოვნება იყო. მხოლოდ კურკანტელამ იაზრა, რად სცემდა უხუცესი. ადრე ვერც თვითონ ამჩნევდა თავის ვარდისფერ სხეულს. ახლაღა დაიხედა ტანზე. ფქვილში ჩავარდნილივით ამოგანგლულიყო ყვავილის მტვერში. მარტო რომ დარჩნენ უხუცესი და ის, უხუცესმა ჭინკამ გასაღები წაართვა და გააფრთხილა:

_ რაც გვირაბს იქით ნახე, იმაზე კრინტი არავისთან დაძრა, თორემ მოგკლავო. _ კურკანტელას მისი მუქარა თითქოს არც კი გაუგია. მხოლოდ ის აწუხებდა, აწი წალკოტში როგორღა შევიდე, ყვავილი როგორღა ვნახოო. დაღონდა. იფიქრა, იფიქრა და თავისდა მოულოდნელად მოიფიქრა: „იქნებ, ისეთი ყვავილი როგორმე მეც გავაკეთოო.“ საგონებელს მიეცა... ერთხელაც განმარტოვდა და მთვარეს შესთხოვა: _ გევედრები! შენი მოსასხამიდან მოვარდისფრო ნაჭერი ჩამომიხიე. შენი სხივის პატარა ჩამონატეხიც... _ და მისცა მთვარემ რაც სთხოვა.

ერთ ღამით ჭინკებმა გაიღვიძეს. ერთმანეთი შეათვალიერეს და კურკანტელა მოისაკლისეს. აჭყიპინდნენ, აყაყანნენ. გარეთ გაცვივდნენ და საკვირველებისაგან პირღია დარჩნენ. გამოქვაბულის წინ თვალისთვის უცხო ყვავილს მოეღერებინა ყელი. ასეთი მშვენიერება არასოდეს ენახათ. კურკანტელამ ვერც კი შეამჩნია ჭინკები. თავჩაქინდრული, დაღონებული იდგა.

_ ეს შენ გააკეთე? _ დაიღნავლა უხუცესმა.

_ ჰო, _ თავი დააქნია კურკანტელამ, _ მაგრამ არ სუნთქავს... _ ამოილუღლუღა და თვალებიდან ვეებერთელა კურცხალი გადმოუგორდა.

_ ცრემლიო?! _ დაიღმუვლეს გაოცებისაგან ჭინკებმა (ჭინკები ხომ არასოდეს ტიროდნენ?!), ცრემლი ყვავილს დაეცა და უცებ ყვავილს დაეცა და უცებ ყვავილი შეირხა... ახასხასდა... გაიღიმა, და ირგვლივ ისეთი ვარდისფერი შუქი მოჰფინა, რომ მის ალში შახვეული კურკანტელა თავადაც ავარდისფერდა. სახე ოქროსფრად გაუბრწყინდა. გალამაზდა.

ჭინკებმა კიდევ უფრო ჭყიტეს თვალები. მათ გამოხედვაში იგრძნობოდა: გაოცებაც, შიშიც, რისხვაც და _ რაც მთავარია _ შურიც... ჭინკებსა და კურკანტელას შორის კედელივით ჩადგა ყვავილის ფურცლებიდან გადმოღვრილი ვარდისფერი შუქი. უხუცესმა კი ვეღარ წადგა ნაბიჯი წინ... რაღაც ძრწოლამ შეიპყრო: _ ავაი, დავიღუპეთ!.. _ შეჰყეფა მთვარეს და თავზე ხელი შემოირტყა.

სინათლენაკრავ ბინდს ჰგავდა ღამე.

პაწაწინა ყინულის ლოლუა და მზის სხივი

ჩამოწანწკარებული თოვლის წვეთებისაგან ღამით ერთი პაწაწა, წვნიკა ინულის ლოლუა გაჩნდა, სიფრიფანა, ყინულის ფოჩით ტანდამშვენებული.

საწვიმარზე სხვა ლოლუებიც ეკიდნენ: რუმბმუცელები, ბოლოწვეტიანები, გაბუტულივით განზე გაქცეულები. ყინულის ჯუბები ჩაეცვათ და თოკზე გაკიდული გარეცხილი მატყლივით ჩამოკონწიალებულიყვნენ _ გაფიჩხულები და გარინდულები.

დედა ლოლუას შეშინებული ბარტყივით მიკვროდა წვნიკა ლოლუა, ისიც სხვებივით გახევებული და უმოძრაო.

_ სულ ასე გაუნძრევლად უნდა ვეკიდო?! _ იკითხა, გაჩნდა თუ არა, იმავე დღეს.

_ ა-ა-ა?! _ შეშფოთდნენ ინულის ლოლუები, _ ასეთი რამ ჩვენში არავის უკითხავს.

_ უკითხავს კი არა და, აზრადაც არავის მოსვლია.

_ ...ხმამაღლა ვერც იტყოდნენ...

_ ა-უ-უ, როგორც შეიცვალა დრო!

_ მართლაც!

_ ნება მომეცით, ფანჯარაში მაინც შევიჭვრიტო, _ ითხოვა წვნიკა ლოლუამ.

_ იყუჩე, სულელო, ნუ გაინძრევი.

მეტი რა გზა, ჰქონდა, არც განძრეულა, მხოლოდ ჩუმად, ძალიან ჩუმად ჩაიჩურჩულა:

_ კეთილი, მაგარმ როდემდე? რატომ უნდა ვეკიდო ასე?

_ გაჩუმდი! _ უბრძანა დედა ლოლუამ. _ მომეკარი, რომ ძირს არ ჩავარდე, ინატრე რომ სულ ასე უძრავად ვიოთ და ოველდღე ყინვის ზარების ჟღარუნი გვესმოდეს.

წვნიკა ლოლუამ მიმოიხედა: ცა დაბლა ჩამოსულიყო, თითქმის შუბლით ეხებოდა სიცივისაგან აცახცახებულ, წვეროებამდე შეჭირხლულ ხეებს. ცერცეტა ქარის ფეხქვეშ ტკაცანი გაჰქონდა თხელ, სიფრიფანა ყინულის ზეწარს. ჩხარაჩხურით ცვივოდნენ მოსხლეტილი ლოლუები და ძილბურანში გადასულ სიწყნარეს წამით აფხიზლებდნენ.

_ ო-ი-ჰ! _ ვიშვიშებდნენ ძირს ჩაცვენილები.

_ გამაგრდი! _ ჩამოსძახოდნენ ზემოთ დარჩენილები. _ სამდურავი არ დაგცდეთ, ჯერ კიდევ არ თბილა... მზისაგან გფარავდეთ ყინვის ზარები.

_ რა არის მზე? _ იკითხა უცებ წვნიკა ლოუამ.

_ სუ-უ! _ წაიბზუკუნა რუმბმუცელამ.

_ როგორია? _ არ ისვენებდა წვნიკა. _ რატომ არასოდეს მინახავს?

_ ახლა იშვიათად ანათებს, _ უჩურჩულა დდა ლოლუამ.

_ ანათებს? ვარსკვლავიც, მთვარეც ხომ ანათებს, მაშ მშვენიერი ყოფილა. მითხარი, მშვენიერია?

_ თავის დროზე ნახავ, იქნებ ხვალ... იქნებ ამ წუთსაც...

_ აღარ გაჩუმდები? _ გაბეზრდნენ ყინულის ლოლუები. _ შენ ირატრატე, ჩვენ კი ვილოცებთ, რომ ნისლიდან არასოდეს გამოეხედონ, ღონე არ მისცემოდეს მის სხივებს...

პაწაწინა ლოლუამ იგრძნო, რაღაც იდუმალსა ა საშინელს უძალავდნენ. მაგრამ შიშზე უფრო ცნობისწადილი აფორიაქებდა _ ერთი სული ჰქონდა, ენახა მზე და აი, ერთ დღეს ნაცრისფერ ცაზე ოქროსფერი პატარა ფირფიტა ამოიტვიფრა. წვნიკამ თვალი ვერ მოაცილა.

_ }! _ აღტაცება აღმოხდა წვნიკა ლოლუას.

ღრუბლებმა გაიღიმეს. ჰაერი ოქროსფერი გახდა, ჩამოწანწკალებული თოვლის წვეთები, კიდეებგაბრწყინებული ყინული, თოვლზე დაფენილი ფანტელები ნაპერწკლებივით აელვარდნენ.

მზემ ოქროსფრად მოავარაყა საწვიმარზე ჩამოკიდებული ყინულის ლოუები და წვნიკასაც ყელზე ყელსაბამი შემოავლო.

_ მეც ვლამაზდები! _ ბარტყივით აჭყლოპინდა წვნიკა ლოლუა და აღტაცებით შეხედა ბრდღვიალა მწეს. _ რა მშვენიერია!

_ ჩუმად, უბედურო! _ უჩურჩულა დედა ლოლუამ.

_ ჩხ-ხ-ხ! ჩხ-ხ-ხ! _ ცვიოდნენ ძირს წყალშემდგარი კუკნა ლოლუები.

_ მზემ ძირს ჩამოგვყარა!..

_ ვაი! _ ვიშვიშებდნენ ზემოთ დარჩენილები.

_ მომეკარი, მაგრად მომეკარი, ჩემი სიცივე დაგიფარავს... ახლა ხომ გაიგე, რატომ გვაშფოთებს მზის გამოჩენა?

_ მაშ ჩიტებს რატომ გაუხარდაც მისი დანახვა? _ შეცბუნებით იკითხა წვნიკამ, _ კენწეროჩაქინდრულმა ხეებმაც თავი ასწიეს, მხრები გაშალეს, თითქოს საცაა გაფრინდებიანო! _ თქვა თუ არა ეს, წვნიკა ლოლუას იმ წამს გაახსენდა, რომ წინა დღით, თოვლსა და ბუქში, ყინულის ლოლუები სიხარულით ყიჟინებდნენ... გაფიჩხული პაწაწა ჩიტი კი მიწაზე მოწყვეტილი ფესვივით ეგდო.

_ მაშ ჩიტებს რატომ უხარიათ მზის დანახვა? _ გაიმეორა შეკითხვა წვნიკამ.

_ ხა-ხა-ხა! _ ლურჯი კბილები გამოაჩინეს ლოლუებმა. _ ჩურჩუტო, ის რაც შეიძლება ერთისათვის საკეთე იყოს, მეორისათვის ბოროტებაა და ამიტომ მშვენიერიც ვერ იქნება.

_ ჰო, მაგრამ მზე მშვენიერია! _ და წვნიკა ლოლუა მონუსხულივით შეაჩერდა მზეს.

_ გაჩუმდი, უბედურო! მზის შეყვარება არ შეიძლება!

_ ავაი, მზე შეუყვარდა? _ ავიშვიშდნენ ლოლუები: რუმბმუცელები, თავბოლოკები, ბოლოწვეტიანები...

_ არასოდეს არცერთ ლოლუას არ ჩაუდენია ეს!

_ რა დრო დადგა! ვის სმენია, ყინულის ლოლუას მზე შეჰყვარებოდეს?!

_ რატომ არ შეიძლება მზის შეყვარება? _ გაიოცა წვნიკა ლოლუამ.

_ გიკვირს კიდეც?! _ სიბრაზისაგან კბილები ააჩხრიალეს ლოლუებმა.

...დილიც წვნიკა ლოლუა მოოდინით იყო სავსე. უსაზღვრო ნატვრით ელოდა მზის გამოჩენას, თუმცა რაღაც შეუცნობადის შიშიც იპყრობდა.

ჩუმად, ძალიან ჩუმად ჩურჩულებდა:

_ ო, როგორ მსურს კვლავ მისი ხილვა! ნეტავ რატომ არ შეიძლება მისი შეყვარება?.. რატომ მიწყრებიან ყინულის ლოლუები?

დედა ლოლუამ გუმანით იგძნო მისი გარინდების მიზეზი და შეპარვით ჰკითხა:

_ გენატრება?..

_ ჰო.

_ სულელო!..

_რატომ ვარ სულელი? _ უკვირდა წვნიკას...

...ერთხელაც, როცა მზემ ერთი კი არა, რამდენიმე სხივი ააციმციმა ერთბაშად, აზლუქუნდნენ ლოლუები:

_ რა მშვენიერი იყო ზამთრის დღეები!

_ როგორ ამაყად გვეჭირა თავი!

_ დადგა ჩვენი აღსასრული!

_ გული დამიმძიმდა, ნელ-ნელა ვსუსტდები, ვწრილდები.

_ წყალი შემიდგა.

_ დაქროლავს ქარი და...

_ ნეტა, ვისი ჯერი მოვა უფრო ადრე?

_ სულ მთლად ვკანკალებ...

დედა ლოლუასაც შეუდგა წყალი.

წვნიკა ლოლუა მზის სხივს მალულად ეამბორა. უცებ ძლიერი ტკივილი იგრძნო და თვალში ცრემლი ჩაუდგა წუთით თავბრუ დაეხვა, თითქოს გული შეუღონდა.

_ ჩხ-ხ-კ!

_ ჩხხ-ხ-კ! _ ხრიალით ცვიოდნენ მოსხლეტილი ლოლუები, ზოგიც წვეთებად მიწანწკარებდა...

წვნიკა ლოლუას მზისკენ დარჩა თვალი. მზის სხივი ალერსით აეკრა. წვნიკამ ელვის უსწრაფესად შეუშვა ხელი დედა ლოლუას ჯუბას. წვეთად ქცეული, ჰაერში გაირინდა, თითქოს ძაფზე ჩამოკეიდაო. ანაზდად ქარმა შემოუბერა და მაღლა აიტაცა.

_ ვცოცხლობ!! _ აკისკისდა. აყიჟინდა წვეთი და სულ მაღლა და მაღლა ცისარტყელას ფერებს შეერია.

მაღალი იყო... ენძელა

თეთრას ფრთებქვეშ შეყუჟულიყვნენ წიწილები, ჟღურტულებდნენ, წივწივებდნენ. ხან ერთი ამოაყელყელავებდა თავს კრუხის ფრთებს ზემოთ, ხან მეორე.

_ დედა, მართლა უნდა ზაგვიყვანო მდინარის პირას?!

_ მინდორშიც, ხომ დედა? _ თავი წამოსწია ახლა მეორემ.

_ ჰო, მინდორშიც.

_ დედა, მინდორი დიდია? იქ პაპლები ცხოვრობენ, ჰო?..

_ ჰო, იქ ენძელასაც განახებთ... პატარა პირისფერ ყვავილს.

კრუხმა ნაბიჯი გადადგა კარისაკენ. მის ფრთებქვეშ წიწილები აირივნენ. თეთრამ თავი გარეთ გამოჰყო, კისერი წაიგრძელა, მაღლა აიხედა და შვილებს უთხრა:

_ აღარ დაადგა სავშველი, წვიმს და წვიმს, გამოდარებას პირი არ უჩანს, საცაა გაზაფხულიც მიილევა და ენძელას ვეღარ ვნახავთ.

_ მერე ხომ მაინც გვანახებ?

_ ...მერე, თქვენ უკვე დიდები იქნებით, მე კი მინდა ბავშვობაში ნახოთ.

თეთრამ ერთხანს იყუჩა. მერე, თითქოს რაღაცას იგონებსო, წამოიწყო:

_ პატარა რომ ვყავი, დედა არსად მიშვებდა, ვეხვეწებოდი, ეზოს ჭიშკარს იქით გამახედე-მეთქი. ერთხელ ცხვირწინ ცისფერი პეპელა ამიფრინდა. მასთან თამაში მომინდა და დავედევნე. ეზოს გადაღმა რომ გადაფარფატდა, მორღვეულ ღობეში გავძვერი და პეპელას გავეკიდე ვსდიე, ვსდიე და ამასობაში ველზე გავედი. უჰ, რა ვეებერთელა მინდორი იყო... იქ ვნახე პირველად ენძელა. მაღალი, მაღალი იყო. თავზე ვეებერთელა მზე დაჰნათოდა. რამდენი პეპელა დაფრინავდა!.. ცისფერია, მელიმონე, მეგლოვა... მდელოზე კალიები ასკინკილას თამაშობდნენ. ნემსიყლაპიებს ბაბუაწვერებზე სარწეველა გაეკეთებინათ და ჭიამაიებს ანანავებდნენ.

_ დედა, _ გაიკვირვა ფრთაჭრელამ, _ წეღან რომ თქვი ენძელა პატარაა?

არა, თეთრას არ დავიწყნია, კარგად იცოდა, რასაც ლაპარაკობდა. ისიც ახსოვდა, რომ მაშინ... გაზაფხულზე მიწა ჯერ კიდევ ტიტველი იყო, არც მზე ყოფილა ვეებერთელა. ველის ნარსა და ეკალა ძეძვს შორის ენძელა ამოსულიყო. პატარა იყო, მზის შუქზე ფურცლები გაეშალა და გაუბედავად იყურებოდა... ჰო, ასე ნახა თეთრამ ენძელა. მის მერე დრო გავიდა და ახლა, როცა გაზაფხულის იმ დღესა და პირველად ნანას ენძელას იგონებს, ყველაფერს სულ სხვანაირად იხსენებს.

ამიტომ, გამოიდარებს თუ არა, თეთრა აუცილებლად ანახვებს შვილებს ენძელას, რომ მერე მათაც მოიგონონ: ვეებერთელა მზე... ხასხასა მდელო, პეპლების ცეკვა, კალიების ასკინკილა, ჭიამაიები და მაღალი, მაღალი ენძელა.

მოცეკვავე ბაყაყი

ერთხელ დუმფარას ფოთოლზე პაწაწა, თვალებჭყეტელა ბაყაყმა ბარათი იპოვა... უფრო სწორად რომ ვთქვათ, ლამაზად დაკეცილი სიფრიფანა ქაღალდი დაინახა.

ნეტავ რა არისო, _ გაიფიქრა.

აბა საიდან ეცოდინებოდა, ან როგორ მიხვდებოდა, ბაყაყები ხომ ერთმანეთს არასოდეს უგზავნიან წერილებს?

სწორედ ამ დროს, ფოთოლზე თავმიდებულმა დუმფარას ყვავილმა გაიღვიძა, ყელი მოიღერა და ქაღალდი რომ შეამჩნია, სიხარულისგან ატიტინდა:

_ ო, როგორ ველოდი, ვინ მოიტანა?

_ აბა რა ვიცი? _ მიუგო პაწაწა ბაყაყმა და მხრები აიჩეჩა. თან ცნობისმოყვარეობამ აიტანა, ასე რამ გაახარა დუმფარაო, და კითხვით სავსე თვალები შეანათა.

_ პეპლებმა მოსაწვევი ბარათი გამომიგზავნეს, შროშანების ველზე მეჯლისს ვმართავთო. მარამ როდის, რომ არ წერია?! _ ატირდა ყვავილი.

პაწაწკინტელა ბაყაყს შეეცოდა ყვავილი და გადაწყვიტა დახმარებოდა. ოღონდ ჯერ თვითონ უნდა გაეგო, რა იყო ეს მეჯლისი.

_ კარგად ვერ გავიგე, სად მიგიწვიეს პეპლებმა?

_ საცეკვაოდ.

_ ყვავილები და პეპლები ერთად იცეკვებენ? ო, რალამაზი სანახაობა იქნება?! _ ოცნებაში წასულმა თქვა პაწაწა ბაყაყმა და ჩაფიქრდა, _ მერე უცებ წამოიძახა:

_ ახლა არა თქვი, შროშანების ველზეო...

_ ჰო, მაგრამ, _ ისევ აცრემლდა ყვავილი, _ შროშანები ბევრგანაა. ალბათ პეპლები იდუმალებით მოცულ ადგილს მონახავენ და იქ გამართავენ მეჯლისს. დაწყების ნიშნად ყვავილები ზანზალაკებს ააწკრიალებენ.

_ ოჰო, ეგ კარგია, _ გაიხარა პაწაწა ბაყაყმა, _ თუ მივაყურადებთ, უსათუოდ გავიგონებთ არების ხმას. მერე იმ ხმას მივყვეთ და დანიშნულ ადგილას მიგიყვანს.

_ რომ გამომეპაროს? _ ვაითუ იმ დროს ჩამთვლიმოს?

_ გიშველი. შენ რომ დაიძინებ, მე ვიქნები ფხიზლად მე რომ ჩამეძინება _ შენ იდარაჯე. ყვავილმა მადლიერებით სავსე თვალები შეანათა.

პაწაწა ბაყაყი დუმფარას ფოთოლზე დასკუპდა, ლოყებბუტყუჭა და თვალებჭყეტელა, გაწნიკული და წრიპა. ხან მზეში ჩაყუჩდებოდა, ხანაც მთვარით შევერცხლილ ბინდბუნდში გაინაბებოდა... რაღაცნაირად უცხოდ, ლამაზად თავს ოდნავ გვერდზე გადახრიდა ად გალურსული ერთთავად ტბის გაღმა მხარეს გაჰყურებდა.

იქ შროშანებით გადათეთრებული ველი ეგულებოდა, მოფარფატე პეპლებით სავსე, იდუმალებით მოცული ადგილი... ერთთავად იმის ფიქრსა და ცდაში იყო, კალიების კრუალსა, ბაყაყების ყივყივში და წყლის დგლადგლუფში ზანზალაკების წკარუნი არ გამომეპაროსო.

მთლად ლოდინად და სმენად გადაქცეულიყო. იჯდა დუმფარას ვებერთელა ფოთოლზე გაუნძრევლად, ხანდახან მეგობრის ძახილზე თუ შეირხეოდა: გეყოფა, დაისვენე, ახლა მე დავუდარაჯდებიო! _ სთხოვდა ყვავილი. ბაყაყი ადგილს არ იცვლიდა, ჯერ ერთი _ სიტყვა მისცა დაგეხმარებიო. მეორე, თვითონაც გულისფანცქალით ელოდა ზანზალაკების ხმას. ფიქრით ოცნების ცაში გადმოეკიდებოდა და იმ საიდუმლო დღეს ვავილებთან და პეპლებთან თავადაც

ცეკვავდა. ამ სურვილს დუმფარასაც კი არ უმხელდა. რცხვენოდა. თანაც შიშობდა, ყური არავინ მოჰკრას და არ ადმცინონ, უშნოდ გატყაპულ და გაჩაჩხულ ბაყაყუნას რა უნდა სიფრიფანა ყვავილებთან და პეპლებთანო.

ვინც კი ტბაში ცხოვრობდა, აზრად არავის მოუვიდოდა, პაწაწკინტელა ბაყაყს ასეთი მოყირმიზებული ოცნება თუ ჰქონდა. ის კი არა და მისთვის ერთხელაც არ უკითხავთ, ერთთავად მაგ ფოთოლზე მოწყენილი რად ზიხარ, ჩამოხტი წყალში, გაგრილდიო. თვითონ მხიარულად, უდარდელად დახტოდნენ, მალაყებს გადადიოდნენ და ყივყივებდნენ.

პაწაწა ბაყაყი კი რაღაცნაირად ლამაზი, ლოყებბუტყუჭა და თვალებბდღვრიალა, ფოთოლზე ნახატივით მდგარი, თითქოს გასაფრენად შეწკიპული, დიდის მოთმინბით და ერთგულებით ასრულებდა თავის მიცემულ სიტყვას.

და აი, ერთ დღეს...

ღამემ ვერცხლისფრად რომ შევერცხლა არე-მარე... და მერე, ყველაფერი რომ მიყუჩდა და ყველამ მიიძინა... სიოც როა გაილურსა.. პაწაწა ბაყაყს ზანზალაკების წკრიალი შემოესმა...

თვალები ჭყიტა...

_ ძინ, ძინ, დონ! _ ისმოდა შორიდან შროშანების ციდა ზარების ხმა.

_ გესმის?! _ ჩურჩულით ჩაეკითხა დუმფარას ყვავილს.

ყვავილი იმაზე ფიქრში იყო გართული, მეჯლისზე დედოფლად ვის აირჩევდნენ, ან პეპლებთან ყველაზე კარგად ვინ იცეკვებსო; მაჩიტები სათითურებით დიის ცვარნამს მიართმევდნენ თუ საღამოსას.

_ მეჯლისზე წასვლის დრო დადგა, გიხმობენ... _ შეეხმიანა ისევ პაწია ბაყაყი და მალულად თვალზე ცრემლი მოიწმინდა: „მე ვინ მაღირსებს მოცეკვავე პეპლების ნახვას.“

_ მიხმობენ?! _ გამოერკვა ზმანებიდან ყვავილი.

_ ისწრაფე, სანამ ზანზალაკები წკრიალებენ, მათ ხმას გაჰყევი და მიგიყვანს... _ ააჩქარა მეგობარი. და თან აცახცახებული, იმის შიშით არ დააგვიანდესო, სულს ძლივს ითქვამდა.

ის-ის იყო ყვავილი უნდა აფრენილიყო, რომ პაწაწა ბაყაყის ცრემლიან თვალებს წააწყდა... და ერთბაშად ყველაფერს მიხვდა:

_ გატყობ, ძალიან გინდა წამოსვლა. წავიდეთ ერთად, მე იქ ყველასაგან მალულად შეგიყვან.

სანამ პაწია გონს მოეგებოდა, ყვავილმა სასწრაფოდ კაბის კალთაზე დაისვა ისე, თითქოს ხელისგულზე მწვანე ფოთოლი უდევსო. ჩიტის ფრთასავით მსუბუქად აიწია, აიწია ა ჰაერში აფრინდა. მერე მათ გალურსულ ტბას გადაუარეს და ლამის ბინდ-ბუნდში გაუჩინარდნენ...

არვინ იცის, მეჯლისზე ყვავილმა მეგობარი როგორ შეიყვანა. არც ის, თუ როდის დაბრუნდნენ...

არც მათი წასვლა გაუგია ვისმეს და არც მოსვლა. ძილით გულგადალეული ბაყაყები, წყლის მცენარეებით დაბურულ ფოთლებს შორის მყუდროდ მოკალათებულიყვნენ და გულარხეინად, უდარდელად თვლემდნენ.

მხოლოდ პაწია ბაყაყი ფუთფუთებდა, მის თვალებს არა და არ ეკარებოდა ძილი. ჩამოჯდებოდა ყუმფარას ფოთოლზე და შორს, ტბის გაღმა იყურებოდა, თითქოს რაღაცას შეფრფინვით შესცქეროდა. თვალებიც სხივიანი, იდუმალი, ფიქრიანი გაუხდა.

ის დღე გულში ჩარჩა... მეჯლისიდან ყვავილების სურნელით გაბრუებული დაბრუნდა.. ამოვიდოდა წყლიდან, ერთ ადგილზე გაირინდებოდა, იდგა გაუნძრევლად და იგონებდა:

ყვავილების სიფრიფანა კაბებს...

მოცეკვავე პეპლებს...

კიდევ იმას, რაც ჩვენ არ ვიცით...

და აი, ეთხელ, ოცნებისას, პეპლებმა ფრთები რომ დაკეცეს და თვალს მიეფარნენ, პაწაწინა ბაყაყმა რაღაც მოისაზრა... სიხარულისაგან დუმფაარს ფოთოლზე ყირა გაჭიმა და წამოიძახა:

_ მეც მინდა... ცეკვა ვისწავლო!

სწორედ ამ დროს, მის ახლოს, წყლიდან გომბეშომ ამოჰყო თავი. ნათქვამს ყური მოჰკრა და ისე ახითხითდა, კინაღამ ჩაბჟირდა.

პაწაწა ბაყაყი თავისმა აზრმა იმდენად გაამხიარულა, დაცინვა არც გაუგია. მხოლოდ იმასა ცდილობდა, ჩანაფიქრი როგორმე სისრულეში მოეყვანა. იმ წუთსავე მოინდომა ცეკვა... აიყლარწა... უკანა ფეხებზე დადგა... შემობზრიალებაც სცადა, აბანცალდა, ფეხი დაუსხლტა და _ დგლუმფ! _ წყალში ყაპანი მოადინა.

წყლიდან დაზაფრული და შემცბარი ამოვიდა, ჩამოჯდა დუმფარას ფოთოლზე, ყვავილს თავი მიადო და გულდათუთქული აქვითინდა.

მზის გულზე მეოცნებე ყვავილები საკუთარ ზღაპრებს უამბობენ ხოლმე თავიანთ თავს. თუ ახლოს არ მიხვედი და არ შეეხმიანე, ისე ვერაფერს გაიგებენ და მოისმენენ.

_ რა გატირებს? _ გამოერკვა ზმანებიდან ყვავილი.

პაწაწას რცხვენოდა გაემხლა გულში ნადები, მაგრამ უთქმელობაც არ იქნებოდა: ჰოდა, როგორც იქნა ამოილუღლუღაჟ

_ ცეკვა მინდა ვისწავლო... _ „მეც მინდა ლამაზი ვიყო.“ ეს ფიქრად დაიტოვა. თავი მორცხვად ჩაღუნა და იმედგადაწურულს, ცეკვას ვერასოდეს ვისწავლიო, თვალებში ტკივილი ჩაუდგა.

_ მოდი, იცი, რა, _ მოიფიქრა ყვავილმა, _ ჯერ ფეხუცები გაივარჯიშე, მერე ხელები, კისერი, წელი და ასე თანდათანობით ისწავლი!

_ ჰო, ეგრე ვიზამ! _ გაიხარა ცეროდენამ და იმ დღიდან ძილი და მოსვენება დაკარგა, დუმფარას განიერ ფოთოლზე ბუქნავდა, ხტოდა.

_ ერთი, ორი! ერთი, ორი! _ ითვლიდა თავისთვის ჩუმად. ცალ ფეხზე დგებოდა, ირწეოდა, ქანაობდა. მერე მეორე ფეხზე დადგებოდა. ასე ხელიდან ხელზე, ფეხიდან ფეხზე ინაცვლებდა. წელში იმართებოდა, ისევ იღუნებოდა. მაღლა ხტებოდა. მერე დაღლილი, ფეხარეული, ფეხაბორძიკებული, ფეხაბანცალებული და ილაჯგამოცლილი დასაძინებლად წაფლატუნდებოდა.

ძალას მოიკრებდა და მერე ისევ მთელი საათობით ვარჯიშს მოჰყვებოდა. მუხლებს ითქვიფავდა. ფეხის წვერებზე დგებოდა.

_ კიდევ ცოტა, კიდევ და... _ შეუძახებდა თავისთავს. ამასობაში ტანფეხი გაუსწორდა, წელში გაიწკიპა.

კისერს რაღაცნაირად, ლამაზად გვერდზე გადახრიდა... ოკრო-ბოკრო ტანის რხევით გაივლიდა, ერთად თავმოყრილ ფოთლებზე ისე გაირბენდა, თითქოს მიფრინავსო.

ყეყეჩა, ყრუჩუნა ბაყაყებსაც კი თვალში ეცათ მისი გადასხვაფერება და თვალებგადმოკარკლულები რაღაცნაირად შეშფოთებულები შესცქეროდნენ; ნეტავი რა

დაემართაო, _ ფიქრობდნენ. მაგრამ დიდხანს ფიქრით თავს არ იწუხებდნენ,ისევ ბუყბუყით ჩაყურყუმელავდებოდნენ წყლაში და ისევ მხიარულად, უდარდელად ყივყივებდნენ. ოღონდ გომბეშომ ვერ მოისვენა და ზოგ-ზოგებს წაუპუტუნა:

_ შეხედეთ ერთი ამ წრპიას, პეპელასავით ცეკვა მოისურვა...

_ ცეკვაო?! _ გაიკვირვეს ნათქვამი და წამში ეს ამბავი მთელ ტბას მოედო, ყველანი შეთქმულებივით ატუტუნდნენ.

_ უყურეთ, რა მოუსურვებია?!

_ ხო, ხო, ხო!.. _ ხარხარებდნენ და სიცილით სულ მუცლები ასკდებოდათ.

_ ყვაყ-ყვიყ-ყვაყ! _ ხითხითისაგან ფართხალებდა გომბეშოც და ლოყები მეზურნესავით ებერებოდა.

დაცინვამ გული ჩასწყვიტა პაწაწას...

ფიქრსა და ოცნებაში ყველაფერი სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი. რა მოხდა, თუკი უნდოდა ლამაზი ყოფილიო... თავისი დაღვრანჭული ფეხები არ მოსწონდა. ის მეჯლისი და მოცეკვავე პეპლები ვერა და ვერ დაივიწყა... იმის გაფიქრებაზე, იქნებ ცეკვა ვისწავლოო, თვალები აუციაგდებოდა ხოლმე.

თავისიანების დაცინვაზე კი ისედაც ერთი ციდა, სულ დაპატარავდა... ვარჯიშს თავი მიანება და დადარდიანდა. ძლივს გამოერკვა, ყვავილმა რომ დაუძახა:

_ ახლოს მოიწიე, ჩემკენ. დაღონებული მეჩვენები. თუ დაიღალე?

ცეროდენა ყვავილთან მიჩოჩდა და ჩაილუღლუღა:

_ დამცინიან, ცეკვა მოინდომაო; მატრაკვეცა, წამხედურა ხარო...

_ წამხედურაო? სულაც არ არის ცუდი მიმბაძველობა, თუ ამით მშვენიერი გახდები. ყვავილთ დედოფალმა ჩვენ გვასწავლა: მიმბაძველობა კარგია, როცა მშვენიერს დაემსგავსებიო...

_ ოჰ!... _ წამოიძახა გახარებულმა პაწაწამ და ფეხწზე წამოხტა.

ცალ ფეხზე შედგა და ანაზდად ჩიკორივით შემობზრიალდა. თავადაც გაუკვირდა, რა კარგად გამომივიდაო. გამეორება სცადა... ისევ გამოუვიდა და მხიარული ყივყივი ატეხა.

_ რა საუცხოოდ დგები ეხის წვერებზე?! _ გაიხარა ყვავილმაც.

წრიპას შეძახილზე წყლიდან ბაყაყები ამოცვივდნენ და დუმფარას ფოთლისკენგაიხედეს... იქ ციცქნა ბაყაყი ფეხისწვერებზე იდგა და თავს ილამაზებდა. ერთმა ბაყაყმა ფაცხაფუცხით ტბაში ჩაყვინთა და თავიანთი მეფე-გომბეშო ამოიყვანა... გომბეშო მოშორებით, ერთ მოტივტივე ფოთლზე დაყუნცდა. უშენოდ გაიჩაჩხა, თვალების ლაპლაპითა და პირის ტყლაშუნით წრიპას შეაშტერდა.

ლამაზად გვერდზე კისერგადახრილი იდგა პაწია ბაყაყი, წელწვრილი, ცერებზე შემდგარი გასაფრენად იწევდა თითქოს.

_ რა მშვენიერი ხარ! _ ჩაესმა ცეროდენას ყვავილის ხმა და სხეულში სითბობ დაუარა. უცებ ისეთი სიმსუბუქით აივსო, რომ ქარისაგან აფრიალებულ ფოთოლს დაემგვანა... როგორღაც უცხოდ, ნარნარად გაშალა მკლავები... და... ერთბაშად ცეკვა დაიწყო.

მზემ თვალი მოჰკრა მოცეკვავე ბაყაყს და წამით შეჩერდა. გაიღიმა.

კალიებმა კრუალი შესწყვიტეს.

ბაყაყებმა _ ფუთფუთი.

წყლის ყვავილებმა კისრები დაიგრძელეს, აბა, ერთი კარგად დავინახოთო.

ნიავი სადღაც გარბოდა და უცებ შედგა, მოხიბლული მოცეკვავე ბაყაყს გაეთამაშა.

ცეროდენა ოქროსფერში ცურავდა, გრძელი კისერი ოდნავ გვერდზე გადაეხარა ად შუშპრობდა...

საოცრებისაგან ტბაც კი გალურსულიყო... იღიმებოდნენ ვარდისფერი ღრუბლები.

„თუ მოინდომებ, ყველაფერს შესძლებ“ _ ჩურჩულებდა დუმფარას ყვავილი.

ცისფერა

ბუჩქნარში ერთი პატარა პეპელა _ ცისფერი ცხოვრობდა. უყვარდა ცისფერი ზეცა და ყვავილები. ფრთებს აიქნევდა; ველის ყვავილებს ეწვეოდა და ტკბილ ნექტარს შესვამდა. მერე გაბრუებული წაიღიღინებდა და ყველას სასიმღეროდ იწვევდა. ყვავილზე რომ ჩამოჯდებოდა, ფრთხილობდა, იმისთვის არ ევნო რა. ცისფერას გული სიყვარულისათვის ჰქონდა გახსნილი. უყვარდა: ია-ია, ცსიფოლიო, ულეწელა, გუგულისკაბა, ციურა...

კეთილნი არიან ყვავილები, გულუხვნი, მაგრამ ტბაში ვერაგი წყლის სანთელაც ხარობსო, _ უთხრეს ერთხელ ცისფერას. ცისფერამ არ დაიჯერა. ვერაგი რატომ უნდა იყოსო ყვავილი. ფრთები სწრაფად აიქნია და ტბის ახლოს მიფრინდა.

ერთადერთ მოწითალო ღეროზე წყლის სანთელას ყვითელი ყვავილები ყელყელაობდნენ.

_ რა ლამაზია?! _ აღფრთოვანდა ცისფერა, _ ნუთუ ვერაგია?

ცისფერა ხშირად მიფრინავდა ტბასთან, ფრთებს დაკეცავდა და ტბაზე მოტივტივე სანთელას გაჰყურებდა.

ყვავილი ხან გაღმა გასრიალდებოდა, ხან გამოღმა. ხან ცისფერასთან მოცურდებოდა, თითქოს თავისკენ იხმობდა პეპელას.

„რა იქნება რომ მივფრინდე?“ _ გაიფიქრა ერთხელ ცისფერამ.

უცბად, ჩუმი, ძალიან ჩუმი ხმა შემოესმა. პირიმზე ეუბნებოდა ნამიკრეფიას:

_ ძალიან მიყვარს მზე. მინდა ავფრინდე და ვეამბორო.

_ უ... ჰ, დაგწვავს, ძალიან ნუ გიყვარს...

_ რა ვქნა, მიყვარს და, _ იღიმებოდა პირიმზე.

წყლის სანთელას ერთადერთ, მოწითალო ღეროზე, ყვითელი ვავილები ცისფერას თავისკენ იხმობდნენ.

„მიეფრინდები, ვნახავ, რა იქნება? არა, მას არაფერი ეტყობა ვერაგობისა.“

ერთხელაც ცისფერამ ცისფერი, შავად მოწინწკლული ფრთები აიქნია და წყლის სანთელასთან მიფრინდა. ფრთხილად ჩამოჯდა ყვავილის ფურცლებზე.

_ რა ლამაზია! _ აღფრთოვანდა პეპელა ად სანთელა შეათვალიერა.

ღეროზე პაწაწინა პარკის მსგავსი ფოთლები შეამჩნია, ცალი მხარე ღია ჰქონდა.

ეს რაღა არის? _ დაინტერესდა ცისფერა და პარკში შეფრინდა. უცებ ბუსუსებმა კარი დაუხურეს.

დაბნელდა. ცისფერას უნდოდა ფრთები აექნია, მაგრამ კედელი არ უშვებდა. ცისფერი ზეცა აღარ ჩანდა...

ველზე კი ისევ ჩურჩულებდნენ მაინდვრის ყვავილები:

_ ძალიან მიყვარს მზე, _ ამბობდა პირიმზე.

_ ძალიან ნუ გიყვარს, _ ეუბნებოდა ნამიკრეფია.

ხავერდის ფინია

...ვიტრინაში იჯდა ხავერდის ფნია. უცებ ფეხებზე ჩაცუცქულიყო, ყუები გაელურსა ად მალაზიის პირდაპირ აყუდებულ, სუროშემოვლებულ სახლს მიშტერებოდა ქუჩებში უსახლკაროსავით დაეხეტებოდა ქარი.

გამყიდველმა ქალმა, მალაზიას რომ კეტავდა, თვალი ვიტრინას მოავლო. შიგ ხავერდის ძაღლი დაინახა, _ ნეტა აქ საიდან გაჩნდაო? _ გაუკვირდა.

_ ვაითუ გამიყვანოს, - შეაკანკალა ფინიას და შიშისაგან აცახცახებულს გული რომ არ წასვლოდა, ანგარიშმიუცემლად თვლა დაიწყო.

_ ერთი... ორი... სამი...

ქალმა პალტოს საყელო აიწია და ქუჩას გაუყვა.

_ უჰ! _ ამოისუნთქა ფინიამ და თავი მიაბრუნ-მოაბრუნა. ვიტრინაში მის გარდა არავინ იყო. ციოდა ფინია თავისი ნებით შემოვიდა აქ. მიატოვა მაღაზიის სითბო და სიმყუდროვე...

ქარმა ვიტრინაშიც შეჰყო ხელი, ტანზე მიუსვ-მოუსვა ფინიას და ქურდივით წაართვა მაღაზიიდან გამოყოლილი სითბო. ფინია არც შერხეულა, გარინდული იდგა და გაფითრებული თვალებით ერთ წერტილს მიშტერებოდა სუროშემოხვეული სახლის წინ ხეები გარეთ გამოყრილ ბავშვებივით ატუზულიყვნენ და სიცივისაგან გათოშილი თითებით ელაციცებოდნენ ფართომინებიან სარკმელს, შიგ სათამაშო თოჯინა, ყავისფერი ცუგო რომ მოჩანდა.

_ აი, ახლა შემობრუნდება და... იქნებ დავავიწყდი?.. არა, ეს შეუძლებელია! _ ჩაიჩურჩულა ხავერდის ფინიამ. სევდა შემოაწვა გულზე და თავი მოგონებებს მისცა.

კარგად ახსოვს ლურჯზალათიანმა კაცმა თვალები რომ ჩაუდგა, ოთახში პაწაწა ცუგოები და დათუნიები დაინახა...

_ რამდენი? _ ფინიამ თვლა არ იცოდა. რამდენ ხანს იყვნენ ერთად, ვერც ამას გეტყოდათ. პირველად თავგზა აებნა იმდენ ცუგოებსა და დათუნიებს რომ შეხედა და ატირდა.

_ ნუ ტირი და ზღაპარს გიამბობ, _ დაუყვავა წიგნებზე შემომჯდარმა ერთმა ყურმოგლეჯილმა, ყავისფერმა ცუგომ. ამ დროს ლურჯხალათიანი კაცი შემოვიდა, ხავერდის ფინიას თვალი შეავლო და მხამაღლა ჩაილაპარაკა:

_ ეს რა სხვადასხვა ფერის თვალები გამიკეთებია ამისათვის? მაღაზიაში წასაღებ თოჯინებში რომ არ შემეშალოს, ბარემ ერთ თვალს ამოვუდებ.. მერე ხომ მაინც უნდა შევაკეთო! _ და ის იყო ფინიას მისწვდა, მოულოდნელად ცუგომ ისე დაიყეფა, რომ კაცს გაწვდილი ხელი გაუშეშდა. „ალბათ მომეჩვენა, როდის იყო თოჯინები ყეფდნენ?! _ გაიფიქრა და გაოცებულს ერთბაშად გადაავიწყდა, რა უნდა გაეკეთებინა... თოჯინები მისწი-მოსწია. ხელში შემთხვევით ყავისფერი, ყურმოგლეჯილი ცუგო მოხვდა. აიღო და სახელოსნო მაგიდაზე დადო. ყური მიაკერა და ისევ თაროზე შეასკუპა.

_ ო, როგორ გალამაზდით! _ შესძახა ცუგოს დათუნიამ.

_ ახლა კი წაგიყვანენ მაღაზიაში, - თქვა ავერდის ფინიამ. თავი მოაბრუნა და ყავისფერ ცუგოს კეთილ, ფიქრმა ჩაძირულ, ონავ ნაღვლიან თვალებს წააწყდა. ანაზდად, თვითონაც ვერ მიხვდა რატომ, გაწითლდა და ლუღლუღით წაილაპარაკა:

... წეღან გამომესარჩლეთ, თქვენს მეტი ხმის ამოღებას ვინ გაბედავდა? ამომაცლიდნენ თვალს და, ვინ იცის, როდისღა ჩამისვამდნენ. კარგა ხანს ვიქნებოდი ამ სიბნელეში გამოკეტილი. თქვენ, თქვენ მიხსენით, გმადლობთ!

_ სამადლობელი არაფერია, სხვებიც ასე მოიქცეოდნენ, _ დინჯად თქვა ცუგომ.

_ არა, თქვენ სხვებს არ ჰგავხართ.

_ სხვებს არც უნდა ვგავდე, ყველანი რაღაცით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, _ ცუგომ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ მიხვდა, რის გამო აქებდნენ.

_ არა...

შედავება სცადა ხავერდის ფინიამ, მარამ სიტყვა შუაზე გაუწდა, ცუგოს კეთილ, ოდნავ მოღიმარ თვალებს რომ წააწყდა. უცებ გაზაფხულის პირველი სხივისაგან გლაძგერებული ყვავილივით შეათრთოლა. ტკბილი, მათრობელა სითბო ჩაეღვარა სხეულში და ერთბაშად ყველაფერმა სახე იცვალა. ვარდისფერი გახდა ჭერი, იატაკი, კედლები, ხელოსნის მაგიდა. უნდოდა ყველა გადაეკოცნა. ანაზდად სხეული ისე ჰაეროვანი და მსუბუქი გაუხდა, რომ ხავერდის ფინია თაროდან აფრინდა, სახელოსნო მიმოიფრინა და ისევ თავის ადგილზე დაეშვა. ეს ისე სწრაფად, თვალისდახამხამებაში მოხდა, რომ ვერავინ ვერაფერი დაინახა. ხავერდის ფინია რამდენიმე დღე გაოგნებული იყო. მერე, ცუგოს თვალებს წააწყდა და ყველაფერს მიხედა:

_ მიყვარს! _ წამოსცდა უნებურად.

ყავისფერმა ცუგომ დინჯად ჩაილაპარაკა:

_ ეგ თუ მართალია, ბედნიერია ის... ო, მეც რომ ვუყვარდე ვინმეს.

მისმა ნათქვამმა ხავერდის ფინია გაათამამა და მორცხვად ჩაიჩურჩულა.

_ ეს, თქვენზე ვთქვი... მყვარს-მეთქი...

_ მადლიერებისათვის?.. _ იკითხა ცუგომ.

ფინიამ თვალები ააფოფინა, რაღაცის თქმა უნდოდა. მარამ ცუგომ სიტყვა ჩამოართვა და დინჯად ჩაილაპარაკა: _ ზოგჯერ გგონია, თავს აჯერებ.. მაგრამ გაივლის დღეები და მიხვდები, რომ გეჩვენებოდა... აი, ცოტა ხნით დამცილდიდ ა გაირკვევა...

_ ... რომ ავფრინდი, მაშ ის რაღა იყო?.. არ გჯერა?

ცუგო ჩაფიქრდა, კარგა ხანს ხმა არ ამოუღია:

_ ყური დამიგდე, _ უთხრა ბოლოს, _ მოდი ზღაპრებს გიამბობ...

ყავისფერმა ცუგომ ფინიას უამბო:

„...თურმე, ორი ფინია ყოფილა, კარის მეზობლები ერთს ისკუპებდნენ და ერთიმეორის გვერდით გაჩნდებოდნენ ხოლმე. ერთად დაეხეტებოდნენ ეზოში, ბაღში, ქუჩაში, უერთმანეთოდ ლუკმას არ გადაყლაპავდნენ.

_ მეგობრობაც ასეთი უნდა, _ ამბობდნენ მათზე სხვა ფინიები.

ერთხელ ორივეს ჩასთვლიმა. ორივემ ერთნაირი სიზმარი ნახა.

...რაღაცაზე წაკინკლავდნენ: _ უჩემოდ ვერ გაძლებ, _ დაიწკმუტუნა ერთმა.

_ ვერც შენ გაძლებ.

_ აბა ვნახოთ...

_ ვნახოთ!

თვალი რომ გაახილეს, სიზმარი გაიხსენეს.

_ როგორ ფიქრობ, გგონია ვერ გავძლებ?! _ ერთდროულად შეჰყეფეს ერთმანეთს.

_ ვსინჯოთ.

_ კარგი, _ და მართლაც დაემდურნენ.

დღეები დღეებს მისდევდა. ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ...“

_ დავიჯერო, მართლა ერთმანეთი უყვარდათ? _ ჩაილაპარაკა ხავერის ფინიამ.

_ მისმინე, კიდევ უნდა გიამბო... _ თქვა ცუომ.

„ფიცრის თავსა და ბოლოში ორი პატარა გოგონა იჯდა. აიწონა-დაიწონას თამაშობდნენ. ხან ერთი იყო მაღლა, ხან მეორე. ატმის კვირტებივით ასკდებოდათ ტუჩზე ღიმილი. იცინოდნენ ლაღად, უდარდელად. ერთმა ქალმა უყურა,უყურა მათ და სურვილი მოეძალა: _ „მივალ მათთან, მეც ვითამაშებ და ცოტა ხნით მაინც ბავშვად ვიქცევაიო,“ _ ჰოდა, ერთ ბოლოში ქალი ჩამოჯდა, მეორეში პაწაწინები... ხან ქალი ავარდება მაღლა, ხან გოგონები.

_ ხა, ხა, ხა! _ ფრიალებდნენ პაწია კაბის კალთები.

_ უ... ი... ჰ! _ კრთებოდა ქალი და იცინოდა... უცებ ქალმა შეამჩნია, რომ ბავშვებივით გაბმულად ვერ კისკისებდა.

_ ასე გულიანად რაზე იცინით? _ ჩაეკითხა გოგონებს.

_ თვალები დავხუჭე, მაღლა ავფრინდი, ზეცას მივწვდი და ღრუბლის მოსასხამი მოვიტაცე. მხრებზე მოვისხი და...

_ მე კიდევ, მზის სხივი მოვწყვიტე, თმებში ჩავიწანი და ოქროსფერი ნაწნავებით უკან დავბრუნდი...

ქალი ფიცრიდან ჩამოვიდა. წარბსა და წარბს შუა ღრუბელი გაუჩნდა.“

_ ვერაფერი გავიგე, _ უთხრა ხავერდის ფინიამ, _ რატომ დაღონდა ქალი?

_ რატომ და... ერთი წუთითაც ვერ იქცა ბავშვად, ვერც მათსავით თამაში შეძლო. ის მხოლოდ იჯდა ფიცარზე. აიწეოდა მაღლა და ისევ დაბლა დაეშვებოდა. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი.

კდევ გიამბობ!

„...ერთი მანდილოსნის სახლში ორი გოგონა ცხოვრობდა: ღვიძლი შვილი და ნაშვილები. ორივეზე ერთნაირად ზრუნავდნენ, ერთმანეთისაგან არ არჩევდნენ...

ერთხელ ქალმა სიზმარი ნახა: ბავშვებს ყვავილის სახადი შეეყარათ. ერთსაც ისე უვლიდნენ, როგორც მეორეს. ავადმყოფობამ რომ იმძლავრა, სიყვარული და ზრუნვა საკუთარი შვილისაკენ გადაიხარა. ბოლოს ორივე განიკურნა, მხოლოდ შვილობილს ნაყვავილარი დააჩნდა.

_ უჰ, რა უსიამო სიზმარი ვნახე! _შეშფოთებით წამოიძახა გამოღვიძებულმა ქალმა.“

_ ძალიან ნაღვლიანი იყო, _ ამოიოხრა ხავერდის ფინიამ, _ ნეტა სინამდვილეში როგორ მოიქცეოდა?

_ ვინ იცის!..

_ კიდევ მიამბე რამე.

„ორი კაცი ერთ ბატონს ემსახურებოდა... ბატონი კარგად რომ დანაყრდებოდა, იმათ მერე დასვამდა... ერთი, ნასუფრალითაც კმაყოფილი ყო, მიაძღებოდა გემრიელ ლუკმებს და სიმსუქნისაგან კანი ასკდებოდა. მეორე კაცს ლუკმა ძლივს ჩასდიოდა. დღენიადაგ იმაზე ფიქრობდა, ბატონს რა გზით გასცლოდა, ბოღმისაგან მჭლევდებოდა და ილეოდა.

ბატონს არც ერთი არ მოსდიოდა თვალში: ერთი მორჩილების, მეორე _ სიამაყის გამო...“

ერთსაც გიამბობ:

„...ქარაფის თავზე კოშკი აღმართულიყო. კოშკის აივანზე, ოქროთი მოვარაყებულ სავარძელში, მშვენიერი ქალბატონი იჯდა და დაბლა, სოფელში სევდიანად იყურებოდა. იქვე, მის ფეხებთან, ფასდაუდებელ ნოხზე ახოვან ვაჟკაცს ჩაემუხლა და ქალს ხელებს უკოცნიდა:

_ ხომ ბედნიერი ხარ, სიყვარულო? ჩემს ძარღვებში მეფეთა გვარის სისხლი დუღს. ჩემი გულის დედოფლად აგირჩიე. შენ კი სევდიანი ხარ მაინც...

_ ერთთავად კოშკში ვარ გამოკეტილი, გთხოვე, რამდენიმე დღით ჩემიანებთან გამიშვი-მეთქი და...

_ ერთი წუთითაც ვერ შეგელევი, _ გააწყვეტინა კაცმა სიტყვა.

_ ქალმა სევდიანად გააყოლა თვალი ჰაერში მონავარდე ფრინველს.“

_ ეს რანაირი სიყვარულია... საბრალო ქალი!..

ამ დროს ლურჯხალათიანი კაცები მოვიდნენ, თოჯინებს საუბარი შეაწყვეტინეს, თაროებიდან ჩამოიღეს, ყუთებში ჩააწყვეს და გზას გაუყენეს. მერე ფაინია და ცუგო მაღაზიაშიც ისევ ერთად მოხვდნენ. ო, როგორ გაუხარდა ხავერდის ფინიას, მხოლოდ ის აღონებდა, დათუნია მათთან რომ არ იყო.

_ გარღვეული გვერდი რომ გაეკერათ, ისიც ხომ აქ იქნებოდა?

_ იქნებ ყოფლიყო, იქნებ არც... _ ჩაილაპარაკა ყავისფერმა ცუგომ.

_ წამოსვლისას თავისი ცისფერი ბაფთა მაჩუქა, რა კეთილია არა?

_ შენ რომ გაჩუქა, იმიტომ?

_ ჰო, ვუყვარდი.

_ ვინც გიყვარს მას რომ აჩუქო, ეს რა სიკეთეა, ვისაც ძალიან სჭირდება, აი, იმას თუ მისცემ, სიკეთე ისაა...

ხავერდის ფინია ჩაფიქრდა, დიდხანს ხმა არ ამოუღია. მერე უცებ იკითხა:

_ მიანტერესებს, წყალზე რას იტყვი, წყაროს წყალზე? ანდა კამკამა წვიმის წვეთზე, ციდან რომ ეშვება, ალბათ, სუფთა არაა..

ყავისფერმა ცუგომ ფიქრშიჩაძირული თვალებით შემოხედა და კეთილად გაუღიმა:

_ თუ გამადიდებელი შუშით შეხედავ... სუფთა არისო, ვერ იტყვი.

ხავერდის ფინიამ წარმოიდგინა ყავისფერი ცუგო გამადიდებელი შუშით და გულში ჩხვლეტა იგრძნო. საუბრის გაგრძელება სურდა. იქნებ ცუგოს მისთვის რაიმე ისეთი ეთქვა, რაც გულიდან ტკივილს მოაშორებდა, მაგრამ ალიონი ახელდა თვალებს და თოჯინები უნდა გაჩუმებულიყვნენ. ხავერდის ინიამ ნაღვლიანად გახედა ცის კოდეს.

ის-ის იყო, მაღაზია გააღეს, რომ ოთახში პაწაწა გოგო შემოცქრიალდა, თაროსკენ თითი გაშვირა. გამყიდველმა ქალმა ყავისფერი ცუგო თაროდან ჩამოიღო და გოგონას მისცა. ხავერდის ფინია გახევდა. ცუგოს კეთილი, ფიქრში ჩაძირული, ნაღვლიანი თვალებით მოხედა მეგობარს.

„ვეღარასოდეს ვნახავ?“ _ გაიფიქრა ფინიამ და ერთბაშად სხეული დაუმძიმდა. ვერავის და ვეღარაფერს ამჩნევდა. ყველაფერს ნაცრისფერი გადაეკრა. თვალწინ მხოლოდ ერთი სურათი ეხატა, ეს სურათი ეკიდა ყველგნა, კედლებზე, თაროებზე, გამყიდველი ქალის ლურჯ ხალათზე.

იდგა ფინია ასე გახევებული და ალბათ ასე გაგრძელდებოდა კარგა ხანს, ანაზდად ფიქრს რომ არ გაღვიძებოდა. გაახსენდა, იმ პაწაწა გოგომ, ყავისფერი ცუგო რომ იყიდა, გამყიდველ ქალს უთხრა: _ აგერ, იმ სახლში ვცხოვრობო, _ და თითი მაღაზიის წინ აყუდებული სახლისკენ გაიშვირა. წყვდიადში მზის სხივის შემოჭრას ჰგავდა ეს გახსენება. ფინიამ მყის რაღაც მოისაზრა... და როგორც იმ პირველ დღეს... ახლაც, ტანში რაღაც სიმსუბუქე იგრძნო. სხეული ისე ჰაეროვანი და მსუბუქი გაუხდა, _ „ფრთები გამომესხაო,“ _ იფიქრა და ხავერდის ფინია თაროდან მართლაც აფრინდა.

მის ირგვლივ ვერც ახლა, ვერავინ ვერაფერი შეამჩნია. ვიტრინაში შეფრინდა. თვალები იმწამსვე მაღაზიის პირდაპირ აყუდებულ სახლს შეაჭვრიტა და მულებში ჩაიკეცა. ფართომინებიან სარკმელში ყავისფერი ცუგოს ზურგი ჩანდა.

_ ის არის, ის! _ სიხარულმა კვირტივით იფეთქა მის გულში, „იქნებ აღარ ვახსოვარ“? _ იმწამსვე სუსხისაგან აკანკალებულ ქარისაგან შემობერილ ყვავილივით დაიზაფრა, „აი, შემობრუნდება და...“

ფინია უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა. ყურები გალურსა. თვალებგაფართოებული სარკმელს შეაცქერდა და მოლოდინად იქცა. „აი, ახლა შემობრუნდება, აი, ახლა...“ ქარი ამოვარდა. გუგუნ-გრიალით მოედო ქუჩებს, სუროშემოხვეულ სახლის წინ ატუზულ ხეებს მიეხალა და ფართომინებიანი სარკმელი შეგლიჯა. ფანჯრები მოხურეს. გადაცვენილი წიგნები რაფაზე შემოეს და ყავისფერი ცუგოც ისევ სარკმელთან დასვეს. ახლა პირით ქუჩისკენ.

_ შემობრუნდა! _ თვალები გაუფართოვდა ხავერდის ფინიას.

_ ძინ, ძინ, ძინ! _ ჩამოჰკრეს გულში ვარდისფერმა ზარებმა. ხმა გარეთ გაიჭრა ფართომინებიან სარკმელში შეაღწია და იქაც აახმიანა გულის ზარი. ვიტრინასა და სუროშემოხვეულ სახლს შორისაწკრიალდნენ: სუმბულის, მაჩიტების, შროშანებისპაწაწკინტელა ზანზალაკები და ჰა, ყავისფერმა ცუგომ თათი დაუქნია მეგობარს.

_ ძლივს! _ თვალები ააფოფონა ხავერდის ფინიამ, _ ო, როგორ მომენტარე, _ ჩუმად, ძალიან ჩუმად თქვა. ქარმა სიტყვები გაიტაცა და სარკმელში ჩიტებივით შემოაფრინა:

_ იქნებ იმიტომ მოგენატრე, რომ ვიტრინაში მარტო იყავი?

_ მაღაზიაშიც ხო მარტო არ ვყოფილვარ... მაგრამ იქ ყველა მივატოვე და შენს სანახავად წამოვედი. უშენოდ გული დამელია...

_ ნუთუ? _ დაეჭვებით თქვა ყავისფერმა ცუგომ, წიგნებზე დადებული გამადიდებელი შუშა აიღო. თვალებთან მიიტანა და მკერდზე დააკვირდა.

_ იჰ, რანაირი ყოფილხარ? _ ჩაილაპარაკა გულდაწყვეტილმა ხავერდის ფინიამ და თვალზე ვეებერთელა კურცხალი ჩამოეკიდა.

_ რამხელა ცრემლია? _ შეწუხდა ნაცრისფერთვალა ალიონი.

გაღმა ქუჩიდან აგმოვარდნილმა ქარმა ერთი დაიგრიალა, ფართომინებიანი სარკმელი შეგლიჯა, ყავისფერ ცუგოს გამადიდებელი შუშა გამოსტაცა ა ქვაფენილზე დაამსხრია.

ალვა და ჯაგრცხილა

ბალახებსა და ყვავილებში ალვამ და ჯაგრცხილამ ამოყვეს თავები. პირველად ალვა ამოიწვერა.

_ ჭიტა! _ დაიძახა და კვირტის გახსნა დააპირა.

_ ნუ, ნუ, ცოტა ხანს დაიცადე, დაგგრილავს! _ დაარიგა ნორჩმა ბალახმა. სამყურა და ოროვანდი ზედ გადაეფარენ პატარა ყლორტს.

_ გაიწით იქით, გაიწით, სული მეხუთება! _ გაბრაზდა ალვა.

_ რა გაუგონარი იქნება! _ ააფარფატა ფრთები ყვითელმა პეპელამ.

იქვე, ალვის გვერდით, ვიღაცამ მიწიდან ამოიძახა:

_ გამიშვი, გამიშვი! რას მაწვები ზემოდან! _ და შავ ხოჭოს მუცელზე შეუღიტინა.

_ ჰი, ჰი, ჰი!.. რა ხუმარა იქნები! _ შეხტა ხოჭო მოულოდნელობისაგან.

_ უჰ, ძლივს არ ამოვყავი თავი! რა კარგი ყოფილა ზევით!

_ იჰ, ჯაგრცხილა ყოფილა! _ ტანი შეისწორა ხოჭომ, ულვაშები აცმაცუნა და წახანხალდა.

_ კურდღელი, კურდღელი! _ შეშფოთდა მრავალძარღვა, ჯაგრცხილას სასწრაფოდ გადაეფარა და ალვისაკენ მიიხედა, _ ალვა, ალვა! შეეფარე სამყუარს, თორემ კურდღელი გადაგკორტნის.

კურდღელმა ცანცარით ჩამოურბინა ველს. ერთგან ნორჩი ბალახი მოკორტნა, ტუჩები აცმაცუნა, მერე ყურები ერთმანეთს გაუწკაპუნა და ჯაგნარში შევარდა. ჯაგრცხილამ მრავალძარღვას ფოთლიდან გამოიჭყიტა და ალვას გასძახა:

_ გამოიხედე, გამოიხედე, კურდღელი წავიდა!

ალვა, ვიცომც აქ არაფერიაო, მშვიდად ამოყელყელავდა სამყურას ფოთლებს ზემოთ:

_ უჰ, დამცხა, წყალიც მომწყურდა!

ბალახებმა ერთმანეთს გადაუჩურჩულეს: _ ალვას სწყურიაო, და შემონახული ნამის წვეთები ფოთლებით ნელ-ნელა პირზე ამცვრიეს.

_ რა ნელა გადის დრო, როგორ მომწყინდა! _ აბუზღუნდა ალვა.

_ გინდა, ვითამაშოთ? _ უთხრა ჯაგრცხილამ და ალვისაკენ ნამი ისროლა. _ ხელი, ხელი შეუშვირე და ახლა მე გადმომიგდე.

ალვამ ფოთოლი დაუხვედრა ნამს. ნამს ეწყინა, რა სათამაშო ბურთი მე მნახეთო, და ცრემლივით დაგორდა.

ალვამ მოიწყინა, _ შეწუხდნენ ისევ ბალახები.

_ ნუ სწუხხართ _ ფრთები დაუშვა ღაბუა ჩიტმა და გალობა დაიწყო. მოფრინდნენ ყვავილის მტვერში ამოგანგლული პეპლები და ბაფთიანი გოგონებივით აცეკვდნენ. თითქოს ოჩოფეხებზე შედგნენ ფრაკიანი კალიები, წრის გარეთ იდგნენ, ტოლს ეძებდნენ, რომ ცისფერკაბიან პეპელას, ცისფერას, არ შეეჩერებინა ისინი:

_ განა ვერა გრძნობთ ცხვირსატეხელას სუნს? გვაფრთხილებს, წვიმა მოვაო. შეხედეთ, სამყურამაც დაკეცა ფოთლები.

პეპლებმა ცეკვა შეწყვიტეს და აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. კალთებიც გადასკუპ-გადმოსკუპდნენ, ზოგი _ სად, ზოგი _ სად. არ გასულა დიდი ხანი და ცამ იჭექა. ალვას და ჯაგრცხილას შიშისაგან გული გაეწურათ.

_ არიქა, შხაპუნა წვიმა წამოვა და ყლორტებს ჩამოგაცლით! _ დაუძახა მათ ბუერამ და ორივეს თავისი ფართო ფოთლები გადაფარა.

კარგა ხანს იწვიმა. მეოერ დილით მთის წვერზე ვეებერთელა მზე შემოდგა თუ არა, სამყურამ ვარდისფერი თავი შეარხია. გვერდით ალვა და ჯაგრცხილა რომ ვერ დაინახა, გაიკვირვა.

_ ნეტა სად არიან? _ აქეთ მოიხედა, იქით მიიხედა, მერე მაღლა აიხედა და შეამჩნია, რომ ჯაგრცხილასა და ალვას ტანი აეყარათ...

გადიოდა დღეები... ალვა კიდევ უფრო მაღლა და მაღლა მიიწევდა, ახალ-ახალ ფოთლებს შლიდა, ჯაგრცხილაც მიდიოდა მაღლა, თან თვალი დაბლა რჩებოდა, გრძნობდა, რომ სცილდებოად სამყურას, ბუერას, ოროვანდს...

ერთხელ ალვას უთხრა:

_ ზევით ვეღარ წამოვალ! გესმის? სასუტელა კისკისებს, ვარდისფერი კაბა ჩაუცვამს ა უხარია. ჩუ, სამყურას კვნესა შემომესმა, მგონი ავადაა.

ალვამ მოხედა შეჩერებულ ჯაგრცხილას: _ მოდიხარ თუ არაო! და ისევ მაღლა წავიდა. ჯაგრცხილა აღარ ასულა ზემოთ, სამყურას ტოტები გადააფარა:

_ მზე ხომ არ გაწუხებს? ხომ არ გცივა? _ ჰკითხავდა მალიმალ. _ ალვა! _ ასძახა ჯაგრცხილამ, _ რას ხედავ ზემოთ?

_ ხის კენწეროებს და ზეცას!

ღრუბლები თუ ჩანან? სამყურა წვიმას ნატრულობს!

_ ღრუბლები? ჩანან, სულ ახლოს არიან.

_ მაშბ სამყურა გადარჩება, მე წვიმის წვეთებს შევინახავ ფოთლებით და მერე ნელ-ნელა დავამცვრევ თითო ოროლა ნამობით პირზე.

მხოლოდ ღამღამობით შეძლო ჯაგრცხილას ალვას გასაუბრებოდა, დღის ჟრიამულში მისი ხმა ვერ აღწევდა ალვამდე.

_ ალვა! _ ასძახებდა ჯაგრცხილა, _ რას ხედავ ზემოთ?

_ ხის კენწეროებს და მთებს, ზეცას და ღრუბლებს!

_ მეტს ვერაფერს?.. იცი? სამყურა გადარჩა. წვიმა რომ მოვიდა, გაიხარეს ყვავილებმა! გამოცოცხლდნენ და ახასხასდნენ. ის კი მეწყინა, ჭიანჭველებს გზები მოეშალა. ერთი წყალმა წაიღო, მაგრამ ბალახი ჩაეშველა და გადაარჩინა... იცი? იმ დღეს ნიავი ვაციწვერას დააქარქარებდა, მაღლა და მაღლა მიაქანებდა. ნიავი შეჩერდებოდა და ვაციწვერა დაბლა იწევდა, მიწისკენ. დრო იხელთა თუ არა, ჩემს წინ ჩაერჭო. ნიავმა ხან აქედან შემოუფრინა, ხან იქიდან, ვაციწვერა არა და არ გაჰყვა...

ვინ იცის, კიდევ რას ეტყოდა ჯაგრცხილა ალვას, მაგრამ ირიჟრაჟა და ჯაგრცხლა ჩაჩუმდაბ _ იცოდა, დილის ჟრიამულში მისი ხმა მაინც ვერ ააღწევდა ალვამდე.

წვიმის კაცუნები

_ წვიმავბ წვიმუკავ, ჩქარა, ჩქარა მოდი! _ ნიავივით აჩურჩულდებონენ გაზაფხულზე გაკვირტული ტოტები. მიწიდან ამოწვერილი ყლორტები: ბაღში, ვენახში, ბოსტანში, ბაღჩაში, ტყეში, მინდორში...

_ ეჰეი, ჰეი... ი, წვიმის კაცუნებო, გესმით, რამდენგან მიგველიან?! _ დაიქუხებდნენ ღრუბლები ისე, რომ ელვას დაანთებდნენ ცაზე.

ჭექა-ქუხილზე პაწაწა, ცისფერ, მწვანე, ვარდისფერ, ლალისფერ, ნამცეცა კაცუნებს გაეღვიძებოდათ და კისრისტეხით გადმოეშვებოდნენ დაბლა.

_ გაზაფხულის წვიმის კაცუნებო, სად, სად მიგეჩქარებათ? _ თვალს გაახელდა ქარი.

_ როგორთუ სად? მიწა უნდა მოვრწყათ, პირი დავბანოთ ხეებს, ყვავილებს წყალი სწყურიათ...

წმინდა, გამჭვირვალე წვეთები ხტუნვა-ხტუნვით, სიმღერით ჩამორბოდნენ. მხიარული ცეროდენები ხან სახურავზე დაიწყებდნენ სირბილს, აკსინკილის თამაშს, გადაკოტრიალდებოდნენ კიდეც და ტყაპატყუპით ძირს ხტებონენ. ხის სიფრიფანა ფოთლებზე დასკუპდებოდნენ, გაბანდნენ ხეებს, ყვავილებს, მერე ღეორებზე ჩამოკონწიალდებოდნენ, წკაპაწკუპით დაბლა ჩამოცვივდებოდნენ და სიცილ-კისკისით ბალახზე გასრიალდებოდნენ. დამდგარ წყალში აჭყუმპალავდებოდნენ, შიგ ჩაყვინთავდნენ.

წვიმის კაცუნები აფერადებდნენ ხის ფოთლებს, ვარდისფერები _ ვარდისფერყვავილებს, ცისფერები _ ცისფერს. მთებს, სახლებს ღებავდნენ. ყველაფერს, ყველაფერს ასუფთავებდნენ. ბოლოს ალამასებს ჩამოარიგებდნენ და ისე უხმოდ, სწრაფად გაუჩინარდებოდნენ, თითქოს დაბლა არც კი ყოფილანო. მერე ცაზე ცისარტყელას გადმოკიდებდნენ.

ერთხელ, ერთ გაზაფხულის წვიმის კაცუნას, წყლის ბაიას რომ აფერადებდა, ანაზდად ჩაეძინა. ყვავილმა გულში ჩაიკრა ცეროდენა, _ მზის სხივმა არ წამართვასო, _ გაიფიქრა და წყალში ჩაეშვა. მერე იქ რა დაემართა ციცქნა კაცუნას, არავინ იცის, საიდუმლოდ დარჩა. ეს კიაბ მაღლა რომ ამოცურდა, უკვე გვიანი შემოდგომა იდგა.

_ ზუუ _ ზუ... უ? _ დაუბერა ცივმა ქარმა, გაშტერებით მდგარ ხეებს დაუარა. ჰაერში ყვითელი, წითელი, ნარინჯისფერი, ვარდისფერი ფოთლები ააფრიალა, ოთხკუთხივ მიმოფანტა და სტვენა-სტვენით სადღაც გადაიკარგა. თითქოს აქ მხოლოდ იმისათვის მოვარდა, რომ ხეები გაეძარცვა და წასულიყო.

ქარს წვიმა მოჰყვა. ტყვიასავით დამძიმებული ღრუბლებიდან ზანტდა დაეშვნენ ნაცრისფერი, ნამცეცა წვიმის კაცუნები. მათ ჭყლიპარტა, ბენტერა ჭინკები მოჰყვნენ და წვიმით გაშავებულ ხის ტოტებზე ტყლაშატყლუში დაიწყეს.

_ ტყლაშ! _ დახტოდა ფოთლებზე წვიმის ჭინკა.

_ ვაი! _ თითქოს მათრახი დაჰკრესო, დაიძახებდა შემკრთალი ფოთოლი და ცახცახით ძირს წამოვიდოდა.

_ ტყაპ! _ დასკუპდებოდა წვიმის ჭინკა ძირს ჩამოვარდნილ ფოთოლზე, ზედ მანჭვა-გრეხით ბუგიბუგს გამართავდა და წითლად მოღუდღუდე ფოთოლზე ჭანჭახს დააყენებდა.

წვიმის გუბეებში ტყაპატყუპით დახტოდნენ წკიპურტა ჭინკები და შიგ წკუმპალაობდნენ.

ნაცრისფერი კაცუნები ზანტად ჩამოდიოდნენ დაბლა ხის ოტებზე, ფოთლებზე, ბის ზედაპირზე მდუმარედ სხდებოდნენ, თითქოს სადღაც შორს ფიქრიან ბურუსს წაეღო ისინი.

წვიმდა და წვიმდა... ტბის მახლობლად, ბუჩქებში შემოდგომის ზაფრანა ასლკუნდა: _ როდისღა გადაიღებს როდისღა?! მცივა...

ყველაფერი თვალის ერთი მოვლებით დაინახა გაზაფხულის კაცუნამ. _ ნეტავ სად ვარო? _ გაიოცა და ყვავილის ტირილი რომ შემოესმა, გაკვირვება ვეღარ დამალა.

_ ი, წვიმა არ მინდაო, ტირის... საოცარია!.. _ ნათქვამი ისე ხმამაღლა გამოუვიდა, რომ ტბის ზედაპირზე მოცეკვავე წვიმის ჭინკები ხტუნვა-ხტუნვით მიუახლოვდნენ, მის გარშემო წრე შეკრეს და ახითხითდნენ. ცისფერი კაცუნას დანახვამ კი არ გააოცა ისინი, გაამხიარულა, რადგან მისი იერსახე სასაცილოდ მოეჩვენათ.

ბენტერა ჭინკებს არაფერი აოცებდათ.

გაოცება ხომ იმათ იციან, ვისაც ჩაფიქრება შეუძლია? ესენი კი, აბა, რაზე დაფიქრდებოდნენ?

მათი აზრით ხეები ყოველთვის ასე მაღლები იყვნენ.

შემოდგომის წვიმას რომ მოჰყვნენ, ბუჩქები, ყვავილები, ხეები - ყველაფერი ისე დაუხვდათ, როგორც ნოემბრის მიწურულში იცის ხოლმე. ამიტომ არ იცოდნენ, რა იყო აღმოცენები, აყვავილება და გაზრდა.

_ რა აცინებთ? _ გაიკვირვა გაზაფხულის კაცუნამ.

_ ვინ ხარ? _ როგორც იყო მოისაზრა ერთმა თვალებჭყეტელა ჭინკამ.

_ წვიმის კაცუნა.

_ ხი... ხი... ხა, ცრუობ, წვიმის კაცუნები ნაცრისფერები არიან, შეხედე...

და მართლაც, ნაცრისფერი წვიმის კაცუნები დაბლა ეშვებოდნენ მოწყენილი, ცივი და ნაღვლიანი სახეებით, ყვინთავდნენ წყალში.

სულაც არ ჰგავდნენ იმ კაცუნებს, ცეკვა-ცეკვით. სიმღერით რომ ჩამორბოდნენ, ყვავილებს არწყულებდნენ.

შემოდგომის ჭინკებს ტბის სანაპიროსთან ჭანჭახი დაეყენებინათ და შიგ ჭყაპაჭყუპით დახტოდნენ. მათთან ერთად წვიმის კაცნებიც ჭყლაპუნებდნენ.

ჭყლიპარტა ჭინკები, ნაცრისფერ კაცუნებს ჭანჭახით წკუმპლავდნენ და თავზე ჭოტებივით დაჭყიოდნენ.

გაზაფხულის კაცუნა რაღაც საოცარმა ნაღვლიანმა გაოცებამ შეიპყრო.

(მასაც ხომ არასოდეს ენახა შემოდგომის წვიმის კაცუნები და არც ის იცოდა, რომ შემოდგომა იდგა).

_ საოცარია! _ დაიყვირა ხელმეორედ.

წუთით გაირინდნენ წვიმის ჭინკები, ნაცრისფერი კაცუნები... და მერე იკითხეს:

_ რა არის საოცარი?

_ რა და... ვერ გამიგია, სად წავიდნენ ცისარტყელას ფერის კაცუნები, ჭექა-ქუხილს რომ მოჰყვებიან თან?!

ჭინკებმა თვალები მოწკურეს, ლოყები გასკდომამდე გაბერეს, სიცილს ძლივს იკავებდნენ.

ნაღვლიანმა ნაცრისფერმა კაცუნებმა კი, როგორც იყო, გაბედეს ხის ამოღებაჟ

_ ჭექა-ქუხილი... ცისარტყელა... ეგენი რა არის, რომ არ ვიცით, არ გვინახავს.

_ შეუძლებელია... _ გაიკვირვა გაზაფხულის კაცუნამ, მაგარმ პასუხის მოლოდინით სავსე მათ თვალებს რომ წააწყდა, _ არ სცოდნიათო, _ დარწმუნდა.

_ ...ძლიერი, ძლიერი ხმა აქვს ქუხილს.

_ გრიალზე ძლიერი?

_ ჰო, მასზე ძლიერი, აი ისეთი... _ აღარ იცოდა, როგორ აეხსნა ცისფერ კაცუნას და უცებ გაახსენდა, _ ამბობენ, ქუხილი ამირანის ხმააო. მის ხმაზე ცაც კი იძვროდა, ღრუბლები ერთმანეთს ისე მიეხლებოდნენ, რომ თვალებიდან ცეცხლივით სცვიოდათ ნაპერწკლები. ქუხილის ხმაზე იღვიძებდნენ ნაირფერი კაცუნები, სიმღერით, ცეკვით ეშვებონენ დაბლა. პირს ბანდნენ ყვავილებს, წყალს ასმევდნენ ბალახებს, ხეებს, რომ პაწაწები დიდები გაზრდილიყვნენ.

_ ეგ მოჭორილია! _ აყაყანდნენ შემოდგომის ჭინკები. _ ხეები ყოველთვის დიდები არიან.

_ თქვენ არ ზრდით ხეებს? მაშ რატომღა მოდიხართ?

სულელმა ჭინკებმა არ იცოდნენ, რატომ მოდიოდნენ... ვერაფერი თქვეს და გაზაფხულის კაცუნას ჰკითხეს:

_ თქვენ?!

_ აკი გითხარით, რომ არ გადახმეს ნათესები, ყვავილები, ხეები... ჩვენ საქმეს მოვრჩებით და მერე მზის სხივებს ვუხსნით გზას, რომ გაათბონ.

_ ვინ, ვინ დაგიდასტურებს? _ სიტყვა გააწყვეტინეს სულელმა ჭინკებმა და ავისმანიშნებლად ახითხითდნენ.

გაზაფხულის კაცუნამ მიმოიხედა. ნაცნობი ვერავინ დაინახა, თან გაჰყოლოდნენ გაზაფხულის წვიმებს.

ხეები? ხეები კი, გაძარცული ხეები, მწუხარების ძილბურანში გახვეულიყვნენ. ყვავილებიც ვერ დაუდგებოდნენ მოწმედ, რადგან ისინიც შემოდგომისანი იყვნენ და არც ამირანის ხმა მოესმინათ.

ცეროდენას შეცბუნება ცბიერ ჭინკებს გაუხარდათ და ერთი აყალმაყალი ატეხეს.

_ აკი ვთქვით მოჭორილია.

_ ხეები ასეთები არ იყვნენო... ხა-ხა-ხი-ხი.

_ გაზაფხულის კაცუნებმა გაზარდესო.

_ აქ არაფერი მოეწონა...

_ არა, არა, ეგ არ მითქვამს! _ შეწუხდა გაზაფხულის კაცუნაბ _ ვხედავ წარმტაცია, ალმასივით ბრჭყვიალა, თეთრი წინწკლები რომ ყრია ბალახზე. წყლის ზედაპირს ბროლივით ციმციმა რომ ფარავს (მან რთვილისა და ყინულის სახელი არ იცოდა). საოცარია, - ხეს სცვივა წითლად მოდუდღუდე, ნარინჯისფერი, ყვითელი, ფოთლები...

_ ეგ არის საოცარი? _ ისევ ახითხითდნენ ჭინკები, _ ეგ ყველაფერი ხომ ოველთვის ერეა.

რადგან უკვირს, აოცებს, ეგრე არ ყოფილა, _ გაბედეს კვლავ ხმის ამოღება ნაცრისფერმა კაცუნებმა.

_ ჩუმად ერთი! _ თვალები დაუბრიალეს მათ ჭყლაპარტა ჭინკებმა, _ გაზაფხულის კაცუნამ იცრუა, მატყუარა უნდა დაისაჯოს.

და სანამ ცეროდენა რამეს მოისაზრებდა, იგრძნო, ხელები ყინულის სირმის ძაფებით ჰქონდა გათოკილი, შემოდგომის კაცუნებს შეავლო თვალი, თავები ნაღვლიანად ჩაეკიდათ. ცისფერი კაცუნა მათმა სიმხდალემ გააცეცხლა და შეჰყვირა:

_ სად, სად ხართ გაზაფხულის კაცუნებო?! _ მერე ერთხელ კიდევ ყველას თვალი რომ მოავლო, იგრძნო, ჭინკები ბევრნი იყვნენ, იგრძნო და შეებრალა ნაცრისფერი კაცუნები, მათ ხომ არ ენახათ მქუხარე ღრუბლები, არც ამირანის ხმა მოესმინათ?!

ბენტერა ჭინკებმა უზრუნველად, თავისთავად გაზრდილი რომ ეგონათ ხეები, ცისფერი კაცუნა ყინულის სასახლეში ჩაკეტეს.

ბევრი ეძინა თუ ცოტა, ცეროდენამ არ იცოდა. ბურანს რომ თავს აღწევდა, ენძელას ხმა შემოესმა. გაზაფხულის მოსვლას ულოცავდა. მისი ხმის კვალდაკვალ ყინულის სასახლეში მზის სხივიც შემოციალდა. ცისფერი კაცუნა ხელში აიყვანა და ოქროსფერი ღრუბლის სარეცელზე მიაწვინა.

იქ, ისევ წვიმის სასახლეში ნაირფერი კაცუნები ცისარტყელას ქსოვდნენ, მქუხარე ღრუბლები ელვას ანთებდნენ ცაზე. ჭექა-ქუხილზე, ამირანის შეძახილზე ცისფერ, მწვანე, ლალისფერ წვიმის კაცუენბს გამოღვიძებოდათ და ხტუნვა-ხტუნვით დაბლა ეშვებოდნენ;

_ წკაპ-წკუპ! _ ამღერდებოდნენ ხის ფოთლებზე.

მერე ღეროებზე ჩამოკონწიალდებოდნენ, ჩამოცვივდებოდნენ დაბლა და დამდგარ წყალში ჭყუმპალაობდნენ.

პირს უსველებდნენ ყვავილებს, ნერგებს...

ცისფერ წვიმის კაცუნასბ კვლავ რომ ეწვია წყლის ბაიას და ფურცლები აუხასხასა, მაშინდელივით ჩაეძინა?

ძილი ხომ ბენტერა ჭინკებს შეახვედრებდა?

ჰოდა, რა დააძინებდა?!

ისევ მზის სხივებს აჰყვა, რომ ჭექა-ქუხილზე თან ჩამოჰყოლოდა გაზაფხულის წვიმის კაცუნებს.

შადრევანის ქალი

ცირკის შენობას ველური ხეებით და აუზით დამშვენებული ბაღი ერტყა. აუზის შუაგულში ქალის ქანდაკება იდგა.

ცირკში ერთი ახირებული კაცი მუშაობდა. ამასთან წესრიგის საოცრად მოყვარული იყო; პატიოსანი და სამაგალითო კაცის სახელი ჰქონდა. ახირების გამო არავინ კიცხავდა. თუმცა, ესეც იმის გამო მოსდიოდა, რომ ფიქრობდა, რადგან სამაგალითოდ მთვლიან, ჩემი ნათქვამი აუცილებლად უნდა ირწმუნონ და ჭეშმარიტებად ჩათვალონო.

ეს კაცი ხანდახან ლექსებსაც წერდა. ერთხელ, ბაღში რომ შევიდა, ანაზდად მუზა ესტუმრა. მუზებთან საუბარს შეყოლილი და სახეღიმილიანი აზში მოლივლივე წყალს ჩააშტერდა.

_ რა, შენთვის გეღიმება? _ შეეხმიანა ბაღში შემოსული ამხანაგი.

_ მეღიმება? _ გამოერკვა უცებ და სიე, სხვათა შორის თქვა

_ ჰო-ო, შადრევნის ქალმა გამიღიმა ად მეც გავუღიმე.

_ იიჰ, ხუმრობის გუნებაზე დამდგარხარ!

_ მართალს გეუბნები, _ დაიჟინა.

ახირებული რომ იყო, იცოდნენ, ამიტომ ამხანაგმა პასუხი არ გასცა, ერთი კი შემოხვდა და თავის გზას გაუყვა.

_ ჰმ! _ ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ კაცმა და ქანდაკებას შეაშტერდა.

_ „არა მართლა რომ გაიღიმოს ქვის ქალმა, ჰა?“ _ გაიფიქრა და აუზს ღიმილით მიუახლოვდა. ძეწნის თავდახრილი ჩრდილები წყლის ზედაპირზე ფართხალებდნენ და გუნებაავარდისფერებული კაცი ზმანების ბურანში გაახვიეს, მოულოდნელი საოცრების ახდენის სურვილი ალივით აუვარდა, მისი არსებობა აუცილებლად და დამაჯერებლად ექცა.

კაცმა ქანდაკებას ისე გაუღიმა, როგორც საყვარელ ქალს უღიმიან ხოლმე და მოხდა საოცრება - შადრევნის ქალმა გაიღიმა.

ხომ ვთქვი!.._ ჩაილაპარაკა თავისთავით კმაყოფილმა კაცმა.

სულაც არ გაჰკვირვებია შადრევნის ქალი რომ შეირხა და თევზზე ჩამომჯდარმა გამოცურა. მხოლოდ ის გაუკვირდა, ამოდენა თევზზე როდის იჯდაო. მერე იფიქრა, მომეჩვენაო და წყალში კენჭი ისროლა.

_ ოი, _ დაუძახა ქალმა, - მაცალე...

კაც ჯერ კიდევ ბურანში იყო რომ შადრევნის ქალი აუზის კიდესთან მოცურდა. ახლა თევზზე კი არა, დუმფარას ფოთოლზე ჩამომჯდარიო და იღიმებოდა.

_ აი, მეც მოვედი! _ აიქნია ხელი და წყალი აჭყაპუნა. ცივი წანწკლები კაცს სახეზე შეასხა და გრილი თითებით შუბლი გაუგრილა.

_ რატომ თამაშობ?

_ ვმოძრაობ! _ გაიცინა ქალმა და შეირხა. ისევ აჭყაპუნდა წყალი...

„რა ცუღლუტი ვინემეა,“ _ გაიფიქრა კაცმა და წარბაზიდულმა ჰკითხა: _ ძვირფასო, ხომ არ დაგავიწყდა, ამჟამად რა არის ყველაზე მთავარი?

_ ის რომ ბოლოსდაბოლოს, ავმოძრავდი.

_ არა, ეგ კი არა, მთავარია, რასაც გეტყვი ირწმუნო.

ქალმა გადაიკისკისა და წყალში თევზივით აფართქალდა. შხეფები ახლა ტანზე შეასხურა კაცს:

„სულ ახლახანს გავიცანი და უკვე გამწუწა," _ ისევ აზიდა წარბი კაცმა, ღრმად ჩაისუნთქა და ავტორიტეტულად თქვაჟ

_ საერთოდ, იცი რა არის ყველაზე მთავარი?

_ ღიმილი!

_ ცდები, წესრიგი უნდა იცოდე, როგორ მოიქცე...

_ ო, ეგ ვიცი. _ გაიღიმა ქალმა, _ ყვავილები იღიმებიან, როცა მებაღე მათ კარგად უვლის. მერე, ბავშვები მოირბენენ ყვავილებთან და მათი მშვენიერებით მოხიბლულები გაიღიმებენ. გაგანია სიცხეში აუზში ხელებს ჩაჰყოფენ წყალში თითბს ააჭყაპუნებენ, შემომხედავენ და გაიღიმებენ, ესე იგი, ღიმილი წესრიგია. უფრო კარგად რომ ვთქვათ, წესრიგი ის არის, როცა ყველა კმაყოფილია და იღიმება.

_ ცდები. ღიმილი ოველთვის არ გამოხატავს კმაყოფილებას. მაგალითად...

კაცმა საათხე დაიხედა, _ კოლეგები მელოდებიან. ხვალ, ხვალ მოვალ და საუბარი გავაგრძელოთ! _ წამოიძახა და სწრაფად შემოტრიალდა.

_ მიდიხარ? _ გულისწყვეტით დაადევნა ქალმა.

მეორე დღეს კაცი დროზე მოვიდა აუზთან. ქალი თავის ადგილზე რომ ვერ დაინახა, ისე გაოცდა, რომ მოსაძებნად წყალში კინაღამ შეტოპა. მარამ გაახენდა ცირკის არენაზე რომ უნდა გამოსულიყო და სველი ტანსაცმლით მაყურებლის წინაშე ხომ ვერ წარსდგებოდა.

_ მოხვედი?! _ შემოესმა ალერსიანი ხმა, _ აუზის გადაღმა გადავედი!..

_ ჰაა?!

_ ჰო, სიარული მინდა ვისწავლო! _ შადრევნის ქალს თვალებში ჭიაკოკონა აუბრიალდა.

_ ეგ როგორ? თქვენ ხომ აუზის ბინადარი ხართ და აუზს არ უნდა გასცილდეთ? ეგ უწესრიგობაა.

_ რა?.. გიცადე,გიცადე, დაიგვიანე და შევწუხდი.

_ მე თავის დროზე მოვედი, აკი ვთქვი, ხვალ მოვალმეთქი.

_ „არ ვიცი, რა არის ეს „ხვალ." ისე მომენატრე, რომ აუზიდან გადმოვედი. ფეხშიშველა, მიწას შევეხე თუ არა, ტკივილი ვგრძენი. ხვინჭამ კანი გამიკაწრა და სისხლმაც იწვეთა. შევამჩნიე, რომ ჩემს ნაფეხურზე ყვავილი ამოვიდა."

კაცი გუმანითაც ვერ მიხვდა ქალსი ნაფიქრალს. ჰაერში ხელჯოხი დაატრიალა და ახირებული ადამიანის სიჯიუტით თქვა:

_ წყლის ქალი, რა წყლისა იქნება, თუ მიწაზე გაივლის? დაუჯერებელია!

კაცმა კარგა ხანს ვეღარ მოიცალა ბაღში შესასვლელად. შადრევნის ქალი სევდიანად გაჰყურებდა გზას. ღამით, ყველა რომ მიიძინებდა, წყლიდან გამოდიოდა და ბილიკზე დაღვრილ მთვარის შუქზე ნაბიჯებს ადგამდა.. მიწიდან წითელი, წითელი ყვავილები იწვერებოდა.

ტკივილი დაჭრილი ჩიტივით ათახთახებდა ბილიკზე ფეხდადგმულ ქალს.

_ იცი, მიწაზე გავიარე! _ ანუცხადა ერთხელ კაცს და ტბისფერ თვალებში მზე ჩაუდგა.

_ ვითომ?

_ როგორ არა, შეხედე, ეს ყვავილები ჩემს ნაფეხურზე ამოვიდა...

„ყვავილებიო,“ ჯერ ყასიდად ნათქვამი ეგონა კაცს. მერე, რომ მოიხედა, მართლაც დაინახა. ახირებული იყო, თორემ აქამდე როგორ არ შეამჩნევდა უცხო ყვავილებს. ის კი არა და, არც დაიჯერა ნათქვამი. იფიქრა, ყვავილები, ალბათ ადრეც იყვნენ ამოსულებიო. და შადრევნის ქალს სიტყვა ბანზე აუგდო.

_ გეყოფათ ხუმრობა! - უთხრა შემცბარს და კენწკეწა ფრაკსა და ქათქათა ხელთათმანებზე დაიხედა, _ დღეს პრემიერაა, ჯენტლმენის როლი უნდა ვითამაშო.

_ წამიყვან? _ ყრუდ ჩაეკითხა ქალი.

_ შენი წყლიდან გამოსვლა და ხალხში ფეხშიშველა გამოჩენა წესის დარღვევა იქნება. რაც მთავარია, სიარულიც არ იცი.

ვისწავლე-მეთქი! ვერ ხედავ?! იმდენი ყვავილი ამოვიდა, რომ ბილიკი წაიშალა.

_ უჰ!.. როგორ შეიძლება სასიარულო ბილიკის გადაშლაჰ

შადრევნის ქალს ტუჩებზე ღიმილი შეაცივდა.

_ ნეტა არასოდეს მოგეხმე! _ დაუსხლტა ნაფიქრი.

_ მე მოგიხმე? ვთქვათ ეგრეა. მაგით არც რაიმე მოგკლებია, არც რაიმე მოგმატებია. თანაც, მე ხომ ისებ ჩემთვის ვფიქრობდი და ვიღიმებოდი.

ის ღიმილი შემომაფრინდა და გავცოცხლდი, ავმოძრავდი. ნაფეხურებზე ყვავილებს რომ ვხედავდი, ჯერ მეღიმებოდა, მერე ბაღში შემომსვლელებისაგან ბევრჯერ რომ გავიგონე: საოცარია, ამ წითელ ყვავილებს შევხედავთ თუ არა, სევდა გვიქრებაო, თავი ბედნიერად ვიგრძენი და ნაბიჯებს ვუმატე... შემომხედე, აი, ახლავე გავივლი.

„მართლა რომ გაიაროს, ხომ გავწბილდებიო?“ _ გაიფიქრა უცებ კაცმა და ის-ის იყო შადრევნის ქალი დაიძრა, რომ შეაჩერა:

_ როგორ გეკადრებათ, წესიერად გაზრდილი საზოგადოებრვიი თავშეყრის ადგილებზე ფეხშიშველა არ გაივლის.

ერთბაშად კაცს ცნობისწადილმა წამოუარა და უნებლიეთ დაუსხლტა: _ აბა, გაიარე... თუმცა დარწმუნებული ვარ, ნაბიჯსაც ვერ გადადგამ.

„ნაბიჯსაც ვერ გადადგამ, ვერ გადადგამ!“ _ ზარის რეკვასავით ჩაესმა ქალს და შეაკრთო.

„ვაითუ მაინცდამაინც ახლა ვერ გავიარო?“ _ გაიფიქრა და ამ განაფიქრმა დააფრთხო.

_ რას გაჩერებლუხარ, გიცდი!

„ვერ გაივლი, ვერ გაივლი!“ _ უწიოდნენ კვლავ ყურებში.

ზვიადი სიჩუმე ჩამოწვა. ფოთოლგაცვენილ ხესავით გახევდა ქალი, მილურსმულივით დააკვდა ერთ ადგილს.

_ აი, ხომ გითხარი! - ჩაიცინა კაცმა.

ამ დროს აუზთან მანდილოსანმა ჩამოიარა.

_ აა, თქვენ ხართ? _ გაუღიმა კაცმა და შლაპის მოსახდელად შეირხა. ხელთათმნიანი ხელი ქუდზე აუსხლტა... ამ დროს ქარმაც წამოუბერა, კაცს ფრაკი შემოაგლიჯა და ქუდთან ერთად ფრიალ-ფრიალით სადღაც გაიტაცა.

ირგვლივ მტვრის კორიანტელი დადგა, ისეთი რომ ყველაფერი ჩამობნელდა.

ქარი, როგორც უცაბედად ამოვარდა, ისევე უცბად ჩადგა.

კაცმა თვალი რომ გაახილა, გაოცდა: აღარსად იყო წითელი, წითელი ყვავილები. აღარსად ჩანდა ტბისფერი შადრევნის ქალი.

აუზის შუაგულში უსიცოცხლო ქანდაკება იდგა. თმასა და მხრებზე წყალი ჩამოსდიოდა... პირისახეზე ღიმილის ნასახიც არ ეტყობოდა.

ახირებული კაცი მიდიოდა და მიდიოდა აუზთან.

აღარა და აღარ უღიმოდა შადრევნის ქალი...

ცისფერი ტბა

_ რა იყო, ძალიან გტკივა მხარი? ქვა ისროლეს თუ არა, შენკენ მოვიხედე, ვაითუ ცუდი რამ შეპმთხვა-მეთქი.

_ მე კიდევ შენკენ. სისხლის წვეთებით გვირილებს კაბა დავუსველე. ირს რომ დავვარდი, გვერდი გავკარი ცისთვალას. ხომ არაფერი ვატკინე? გამიგე, ღუნღულავ?!

მოლაღურმა ბალახებში გაიგოგმანა და სწრაფად უკან დაბრუნდა.

_ ძმაო ფარფატა, მორცხვი ცისთვალა ვნახე, გვირილებიც კარგად არიან. შეგეშველები, ბუდეში ავფრინდეთ. ვიჩქაროთ, თორემ იწვიმებს. ხედავ? ქრისტესისხლას დაბლა დაუხრია ყვავილები. სმყურასაც დაუკეცია მწვანე ფოთლები და თავი ჩაუღუნავს.

_ ჰო, ავიდეთ. ოღონდ ნელა,ჭრილობა არ მატკინო.

ღუნღულა მხრებში შეუდგა მეგობარს. აიწია ღუნღულა, აიწია ფარფატაც. ბუდე ხის წვეროზე იყო, მოლაღურები შიგ ჩაფრინდნენ, საცეცხლურივით ჩამოკიდებული ბუდე დაირწა.

_ გტკივა, ფარფატავ?

_ ცოტათი. ქვა რომ ისროლეს შენკენ მოვიხედე...

_ მე კიდევ შენკენ.

_ გვირილებს კაბა დავუთხუპნე, ცისთვალას, მგონი. რაღაც ვატკინე... _ ღუნღულა, შენ ამქვეყნად ყველაზე მეტად ყვავილები გიყვარს, ხომ? გახსოვს, რომ მეუბნებოდი: სადღაც ერთ ველზე ედემის ტბაა, მის ნაპირის ყვავილები ჰყავისო...

_ ჰო, გეუბნებოდი...

_ ამბობდი, იქ ყვლაფერი ღვთიურიას: ხეებიც, ბუჩქებიც, ფრინველებიც და ვინც იქ მივა, ყველა ღვთიური გახდება, ცელქი ბიჭებიც კიო...

ბუდე ჰამაკივით ირწეოდა.

_ მიმღერე, ღუნღულა; მიყვარს სიმღერა. ავდარში სხვა რთოსნები დუმან, ჩვენ კი ვგალობთ, ნეტავი რატომ?

_ გვირილებმა მოწყენა იციან ავდარში, ოც ვუსტვენ, იღიმებიან. მიხარია მათი ღიმილი და ვგალობ რომ კიდევ გაიღიმონ...

გაწვიმდა.

_ ფუნღულა, არ გინდა, ჩვენც იმ ტბასთან ვცხოვრობდეთ?

_ მინდა, ფარფატა, მინდა.

_ იქ ქვას აღარ მესვრიან... შენ რომ ამბობდი, იმ ტბაზე ყველანი კარგ გუნებაზე არიან და იღიმებიანო, ბიჭუნები შურდულს არ ისვრიანო, ეს ყველაფერი მართალია?

_ ჰო, ფარფატა... მხარი აღარ გტკივა?

ადრე ღუნღულას მართლა სჯეროდა, რომ არსებობდა ედემის ტბა და ედემის ყვავილები, ახლა ვეღარ ეტყოდა ფარფატას, არაფერიც არ არისო. იცოდა, მეგობარს გულს მოუკლავდა და ათქმევინებდა: „ეჰ რანაირი ყოფილხარ ფუნღულავ?! რა იქნებოდა მერწმუნა, რომ არის ედემის ტბა, ედემის ყვავილები, ღვთიური ბიჭუნები და კაცები“...

_ ქვა რომ ისროლეს, შენკენ მოვიხედე.

_ მე კიდევ შენკენ.

ისევ წვიმდა, საცეცხლურივით დაკიდებული ბუდე ისევ ირწეოდა და მოლაღურებს აქანავებდა.

მაჩიტების ველზე

ია: _ გემუდარებით, ჩქარა, ჩქარა მოდით.
თორემ საცაა გაზაფხულიც მიილევა...

* * *

მთვარე ამოვიდა თუ არა, ასკილის ყვავილიდან ერთი ბეწო ვარდისფერი გოგუცანა გამოცქრიალდა და ფურცელზე ჩამოსკუპდა.

წყნარი საღამო იდგა. ვერცხლისფერი მოსდებოდა მაჩიტების ველს, ირგვლივ, ყველაფერი ლამაზი იყო, ვარდფურცელა გოგუნას ანაზდად რაღაც თბილი სევდა მოეძალა. ვერ მოისვენა, ფურცელიდან ფურცელზე გადავდა, ყვავილ-ყვავილ იწყო ბორიალი. დაეძებდა რაღაც გაუგებარსა და გამოუცნობს , სულს რომ უშფოთებდა. სულ ქვედა ტოტზე რომ ჩამოვიდა, ხმა შემოესმა, ერთმანეთზე თავმიდებული ბაბუაწვერას ფაფუკი ბუსუსები ჩურჩულებდნენ.

_ სუდამ ასე ერთად ვიქნებით...

_ ერთმანეთს ვერაერი დაგვაცილებს...

_ ჭეშმარიტად!

_ რამ უნდა დაგვფანტოს?!

_ ვერაფერმა.

ვარდფურცელამ უსმინა მათ, უსმინა და აღტაცებით წამოიძახა:

_ რა კარგები ხართ!

_ დიახაც! _ თამომწონედ მოიღერა ყელი ბაბუაწვერამ, _ შენ კი რადა ხარ მარტო. განა მეგობრები არა გყავს?

ვარდფურცელა ახლაღა მიხვდა, რატომ ვერ უჩერდებოდა გული ერთ ადგილზე.

_ ერთი... ორი... სამი... ოთხი... _ დაიწყო თვლა.

_ რას ითვლი? _ ჰკითხა ბაბუაწვერამ.

_ დროს. უჰ, რამდენი ხანი გავიდა, რაც ჩემი მეგობარი ნიავბიჭუნა არ მინახავს.

_ ეგ როგორ შეილება? _ გაიკვირვა ბაბუაწვერამ. _ დღეები დასათვლელი გაგხდომია.

_ არა, წამებსა და საათებს ვითვლი. გუშინ ვნახე, მაგრამ... ასე მგონია დიდი, ძალიან დიდი დრო გავიდა. რომ იცოდეთ, როგორ მომენატრა!

_ მოგენატრა? ჩვენ სულ ერთად ვართ, რა არის მონატრება არც კი ვიცით!

_ რა არის და... გსურს დაინახო, თვალი შეავლო. ეს სურვილი ისე ძლიერია, რომ დარდი და ნაღველი დაგრევს ხელს.

ხშირად უხმოდ ვეძახი ნიავბიჭუნას, რატომღაც მჯერა, უსათუოდ გაიგონებს და მოფრინდება.

აი, ახლაც ველი.

მოლოდინმა ისე ააფორიაქა პაწაწა გოგუცანა, რომ არც ყვავილებსი მტვრით დაუპურებია თავი, არც ნამით ჩაუსველებია ყელი. ყველა სხვა სურვილი მიუყუჩდა, წინ ერთი სურვილი დაწინაურებუიყო, ნიავბიჭუნას მალე ნახვის სურვილი.

_ ნეტავ, მასაც თუ ვახსოვარ? _ დაუსხლტა უნებლიეთ ხმამაღლა ნაფიქრი.

_ ეგრე რომ იყოს, აქამდე ხომ გნახავი?! _ ჩაიცინა ბაბუაწვერამ.

ბირქილმა თითქოს წელში გაწყვიტა ვარდფურცელა.

_ სულ ჩემთვის ხომ არ მოიცლის, სხვა ველებსაც ხომ უნდა ეწვიოს?

_ ჰი... ჰი... ჰი! _ ჩაიხითხითა კვლავ ბაბუაწვერამ და თავი ამაყად შეარხია:

_ ჩვენ კი, ყოველ წუთს ასე ვიქნებით ერთად, გვერდიგვერდ.

_ ერთმანეთს არ დავცილდებით.

გუნებაამღვრეული ვარდფურცელა ზევით აუყვა ასკილის ტოტებს. თავისი ბინა მონახა და ყვავილის ფურცელზე ჩამოჯდა. მოგონებები, ნიავბიჭუნასთან გატარებულ დღეებზე დაძენძილი ნისლივით ამოძრავდა. ხანდახან გაიფანტებოდა და ხან აქ, ხან იქ, ამწვანებული კორდივით ამოცურდებოდა.

ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ, ხელიხელჩაკიდებული თამაშობდა მაჩიტების ველზე ნიავბიჭუნასთან ერთად. მათ კისკისზე ყვავილებიდან გოგუცანები და ბიჭუკელები გადმოდიოდნენ და ერთად მხიარულობდნენ.

დამალობანას თამაშობნენ, დაჭერობანასაც, და ბედნიერებისაგან გაბრუებულები ფრენდნენ კიდეც.

ზეციდან სიხარულისა ად ღიმილის კაცუნები დაეშვებონენ და ვავილებით მოფარდაგებულ ველზე ფერხულს უვლიდნენ.

ვარდფურცელას ბედნიერებისაგან სახე უბრწყინავდა, მაგრამ გაახსენდებოა თუ არა, რომ ნიავბიჭუნა უნდა გაფრენილიყო, სახეზე ჩრდილი გადაურბენდა.

_ ხომ ოველთვის მოხვალ? _ მალიმალ ჰკითხავდა.

ნიავბიჭუნა ხშირად პასუხს არ აძლევდა, მხოლოდ კეთილად, წყნარად გაიღიმებდა. სათქმელს ფიქრად იტოვებდა... სურდა, როგორ არ სურდა ხშირად, ძალიან ხშირად მაჩიტების ველზე მოსულიყო, მაგრამ სხვაც ბევრი მინდორი ჰქონდა შემოსაფრენი. ეძნელებოდა თუ არა მაჩიტების ველიდან წასვლა, გარეგნულად ვერაფერს შეატყობდით, მაგრამ თვალებში აუცილებლად მიმალულ სევდას შეამჩნევდით.

_ „ერთი... ორი... სამი... ხედავ, უჩემოდ რამდენ ხანს გასძელი?!“ _ უხმოდ ეუბნებოდა ვარდფურცელა.

ნიავბიჭუნაც უსიტყვოდ, ღიმილით პასუხობდა:

„მოუსვლელობა ყოველთვის არ ნიშნავს, რომ არ გენატრება“...

„ალბათ, მალე წახვალ, მინდვრებს მიმოიფრენ. ხომ არ დაგავიწყდება მაჩიტები ველი? როდის მნახავ? მითხარი. ხედავ, არც კი მეუბნები. სულ მე გემუდარები“.

„თუ ოდესმე ერთმანეთს რაიმე ვაწყენინეთ და აღარ მოხვალ, მე მოგძებნი. დამალობანას თამაშს თუ დამიწყებ, მაინც გიპოვი.“

„მე თუ არ მენდომება, ვერ მნახავ...“

„იჰ, რა საოცრება თქვი, არა? ეს არ მოხდება ხომ მართალს ვამბობ.“

„ჰო.“

„ახლა ისიც მითხარი, კვლავ როდის მოფრინდები?“

„მოსვლით მოვალ, რაიმე ხომ არ გსურს მოგიტანო?!“

„არაფერი, სულ არაფერი. მხოლოდ მალე მოდი, ნუ დაიგვიანებ!“

არავინ იცოდა სად იმოფებოდა ნიავბიჭუნა. მისი გამოჩენაც იდუმალებით იყო სავსე. ვარდფურცელა ყვავილის ფურცელზე ჩამოდებოდა და მოგონებებით გაბრუნებულს, გული მოლოინით ევსებოდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ნიავბიჭუნას დაავიწყდა მაჩიტებსი ველი და წამწამებზე ცრემლები მძივებივით ეკიდებოდა.

„არა, ეს შეუძლებელია!“ _ გაიმხნევებდა თავს. მერე ერთბაშად ფეხზე წამოვარდებოდა და სივრცეში გასძახებდა.

_ ეჰე, ჰეი. ნიავბიჭუნავ!

მიწაზე გართხმული ბაბუაწვერა თავს შემოაბრუნებდა და დამრიგებლურად ეტყოდა:

_ სულ შენ რომ უხმობ, აბა, ერთხელ სინჯე, ნუ დაუძახებ. თავისთ მოვა?!

„რატომ ჩამძახის ასე ბაბუაწვერა. იქნებ მართლა ვაძალებ ნიავბიჭუნას მაჩიტების ველზე მოსვლას?“ _ ამ განაფიქრმა ჯერ გარეგარე დაიწყო ძუნძული, მერე ეჭვი გულში შემოეპარა და ალივით ავარდა, აბურბურა.

_ და აი, ერთ დღეს ნიავბიჭუნა მაჩიტებსი ველს ეწვია.

_ ვარდფურცელავ! _ შსძახა ასკილის ყვავილზე ჩამომჯდარი გოგუცანას, _ მოვედი!..

ვარდფურცელა ამ დროს ყვავილების წვენისაგან გამოზადებულ მათრობელა ნექტარს სრუტავდა.

ნიავბიჭუნას გამოჩენამ თვალები აუციმციმა.

ანაზდად ბაბუაწვერას ნათქვამი გაახსენდა, „აბა ერთხელ სინჯე, ნუ დაუძახებ!... _ ისევ აბურბურდა ეჭვი და გოგუცანა ნიავბიჭუნას დანახვაზე არც კი განძრეულა. უჩვეულოდ დაეწაფა ნექტარს და ზომაზე მეტი ესვა. ნექტარმა უცებ გააბრუა. თვალები აუჭრელდა.

სიფრთხილე მოუდუნდა, ნელ-ნელა აპატარავდა, ჭიამაისოდენა გახდა და ვარურცელამ არასაკადრისი მოიგუნება:

_ ტყუილად წუხდებით, არავის აინტერეებს თქვენი მოსვლა! _ უთხრა ნიავბიჭუნას.

მოულოდნელობისაგან ნიავბიჭუნა გაოცდა. შუბლი მოისრისა, გუმანითაც კი ვერ მიხვდა, რომ ვარფურცელა ცრუობდა და ყველაფერს ამას იმიტომ ამბობდა, რომ ბაბუაწვერამ გაახელა.

_ რამდენ ველზე მიფრენია და ჩემთვის ეს ჯერ არავის უკადრებია! _ წარბი აზიდა ნიავბიჭუნამ.

_ უფრო მეტიც, არასოდეს მსურვებია შენთან მეგობრობა!

_ მაშ რაღად მიხმობდი?! _ ახლა კი განრისხდა ნიავბიჭუნა.

„არა მალე დაიჯერა!“ _ გაიფიქრა ვარდფურცელამ და თვალებში ნაღველი ჩაუგა. ისე ბაბუაწვერას სიტყვები ჩაესმა ყურში და კიედვ უფრო ეწყინა, რომ ნიავბიჭუნამ მსიი ნათვქმი ირწმუნა.

მოულოდნელად წყენა მთისოდენა გახდა, ზვავივით მოასკდა გულს და ბაგეს ქარისგან მოგლეჯილ, უმწიფარ ნაყოფივით მოსწყდა:

_ ჩურჩუტი!

_ „ოჰო, ესეც გამიბედა,“ _ გაიფიქრა ნიავბიჭუნამ და დაოკებული მრისხანებით თქვა:

_ გავიწყდება რომ მე ქარისა და გრიგალის შვილი ვარ. დღეიდან მაჩიტების ველზე აღარასოდეს მოვალ.

ვარდფურცელას ფიქრსა თუ ოცნებაში ყველაფერი სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი. ეგონა ნიავბიჭუნა გუნებაშეცვლის მიზეზს ჰკითხავდა... დაუყვავებდა. გულისწასლამდე ეჭვით გათანგულს ერთი ბეწო ალერსიც დააცხრობდა, მაგრამ სულ სხვაგვარად მოხდა.

ნექტარისაგან გაბრუებული ვარდფურცელა ერთბაშად გამოფხიზლდა.

_ რა თქვი?! _ შეაშტერდა ნიავბიჭუნას.

_ დღიდან მაჩიტების ველზე ვეღარ მიხილავ.

_ ვეღარ? _ შეშფოთდა გოგუცანა, _ არა, ნუ... ვიცრუე... ნუთუ მართლა დაიჯერე, რაც გითხარი?

_ თქვი და დავიჯერე!

_ გეფიცები, ვიცრუე.

_ არა, შენ თქვი ის, რასაც ფიქრობდი. ნათქვამი მართალი იყო და დავიჯერე, _ გაჯიუტდა ნიავბიჭუნა.

რა უნდა ექნა ვარდფურცელას, რით უნდა დაემტკიცებინა, რომ იცრუა? საქციელი წაუხდა. ხომ არის ზოგჯერ, ძალიან მართალია, მტყუანს რომ გავს? ერთიღა დარჩენოდა, იქნებ მუდარას გაეჭრა და ნიავბიჭუნას სიკერპე დაეცხრო. ამ სურვილის წინაშე სიამაყე უკვე სულსა ღაფავდა. თანაც ვარდფურცელა ხომ პაწაწა გოგუცანა იყო, ბავშვებმა კი ყოველთვის ასე იციან, იმას ამბობენ, სადაც ფიქრობენ. ყოდა, ტუჩებგაბუსხულმა წამწამები ააფახულა დანიავბიჭუნას უთხრა: გემუდარები, ნუ გაფრინდები. უშენობა გამიჭირდება. სიცხეც შემაწუხებს, მალე სულ მალე დავჭკნები. საათებს ვითვლიდი, ახლა კი სულ აღარ მოხვალ?...

_ შენ არ შეგაწუხებს ჩემი მოუსვლელობა, _ და გაკერპებულმა ნიავბიჭუნამ ფრთები ასაფრენად აზიდა. ისე თავაწყვეტით აიქნია, რომ ჰაერი შხუილით გააპო და ნიავი დააყენა.

ნიავის შემობერვაზე ყელმოღერებული ბაბუაწვერას ფაფუკი ბუსუსები წამსვე აქეთ-იქით გაიფანტა.

ვარდფურცელამ გაფანტულ ბაბუაწვერას თვალი რომ შეასწრო, კიდევ უფრო შეშფოთდა.

შეშფოთდა ისე, რომ ერთიბეწო სიხარულიც კი არ დარჩენია გულში. სწრაფად, ძალიან სწრაფად აწრიალდნენ მოგონებები...

ყურში ბაბუაწვერას ხმა ჩაესმა თითქოს:

„მუდამ ასე ვიქნებით ერთად...“

„რამ უნდა დაგვფანტოს!?“

ჰაერში მიფრიალებდნენ ნიავისაგან გაფანტული ბაბუაწვერები.

მ ა ნ ე კ ე ნ ი

თაბაშირისაგან გააკეთეს... სიცოცხლე რომ აჩუქეს, გაუხარდა. მერე სახელიც დაარქვეს...

_ მაგ მანეკენს ტანსაცმელი ჩავაცვათ! _ თქვეს, ტანზე ჟოლოსფერი კოსტუმი ჩააცვეს ად შებინდებისას ვიტრინაში შეიყვანეს. იქ, ვიტრინის შუაგულში, ჰაერში თაროსავით გაწოლილიყო ფიცარი. თავსა და ბოლოში თოკი ჩაებათ და საქანელასავით ჭერზე ჩამოეკიდათ... მანეკენი ამ საქანელას ქვეშ დააყენეს.

_ ფიცარი რომ ჩამოვარდეს? _ დაეჭვებით იკითხა მაღაზიის ერთმა თანამშრომელმა.

_ მანეკენს თავში მოხვდება და მოკვდება! _ იხუმრა მეორემ.

_ არ გაინძრე! ფეხისწვერებზე შედგომაც კი არ გაბედო, თორემ ღიცარი ჩამოვარდება და...

გადაიხარხარეს, ვიტრინის კარი გაიხურეს და გადაკეტეს. შემაძრწმუნებელი სიჩუმე ჩამოწვა. მანეკენი შეკრთა.

_ „გავიქცევი!“ _ გაუელვა აზრმა და ის იყო განაფიქრი სისრულეში უნდა მოეყვანა, რომ გაახსენდა: „არ გაინძრე, თორემ... მოკვდები.“ სულისშემძვრელმა, შეუცნობმა შიშმა მოიცვა, სვეტივით დაესო ერთ ადგილზე და სახეზე უმწეო ღიმილი გადაეკრა. ქუდის ქვეშ ორი გაოცებული თვალი აქეთ-იქით მიმოატარა: გარეთ, პროსპექტის მეორე მხარეს, ვიტრინებში გამომწყვდეულ მანეკენებს მოჰკრა თვალი. იდგნენ აქერცლილი კანით, გულხელდაკრეფილნი და დოინჯშემორტყმულნი: ქალები და მამაკაცები, ბიჭები და გოგონები. აბრეშუმის ნაჭრით ტანდამშვენებულები და გახუნებული, სპორტული მაისურებით. სახეზე უაზრო ღიმილით, არაბუნებრივი, გაწეწილი თმით და გაფარჩხული თითებით. მათმა უაზრო, გულგრილმა ღიმილმა ჟოლოსფერ მანეკენს შიშის გრძნობა კიდევ უფრო გაუძლიერა. თითქოს უკუნეთ სიბნელეში მოხვდა და გზა დაკარგაო... იდგა გაბეცებული და გახევებული. ყოველ ცისმარე დღეს იმას ფიქრობდა, როგორმე არ განძრეულიყო. ყველა სხვა ფიქრს ჩრდილი წაეფარა, ჩაკვდა, ჩაიფერფლა, ჟოლოსფერი მანეკენი უძრაობაში თითქოს გაიყინა. გაფშეკილი და მხრებდაღუნული დაჭედილივით იდგა. თვალებში შუქი ჩაუქრა, უსინათლოსავით უაზრო გამოხედვა გაუხდა.

პირველად გაუჭირდა ასე უმოძრაოდ, დაძაბულად ყოფნა. მერე ისე მიეჩვია, ვეღარც კი გრძნობდა, რომ თავისი პირვანდელი სახე დაკარგა. ფიცარი დაჰყურებდა თავზე და ზევით ახედვისაც კი ეშინოდა. აქედან გასვლის სურვილს ძილქუში დააწვა, მასზე გაფიქრებასაც კი ვეღარ ბედავდა.

გარეთ, ქუჩაში, ხალხი დადიოდა, იცინოდა, ხარობდა.

გზა ამ ვიტრინის წინ ჩადიოდა და ადამიანებს ძალაუნებურად თვალი აქეთ გამოურბოდათ. მანეკენს კი არ შეხედავდნენ, მის სამოსელს შეავლებდნენ ხოლმე თვალს, და არც კი შეჩერდებოდნენ ისე აგრძელებდნენ გზას.

მანეკენისათვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო. მარტოობამ და ვიტრინაში გამეფებულმა, ძილბურანში გადასულმა სიწყნარემ კიდევ უფრო მოადუნა... და აი, ერთხელ უჩვეულო შეძახილი ჩასწვდა მის სმენას...

_ მამიკო, აქ რა გინდა?..

_ ჩურჩუტო, ეგ ხომ მანეკენია?

_ არა, მამიკოა, დაუმწყვდევიათ...

ყაყაჩოსფერკაბა პაწია გოგონა იდგა ვიტრინის წინ და მანეკენს თვალებანთებული შეჰყურებდა:

_ რატომ გაშეშებულხარ ეგრე ხესავით და არ ინძრევი? თავზე რომ ფიცარი დაგყურებს მაგისი გეშინია?

მანეკენს გული აუჩქარდა... თითქოს ქარმა დაუბერაო, ოდნავ, ნიავივით შეირხა.

_ დედიკო, შეხედე ამოძრავდა! _ გაიხარა გოგონამ.

ქალი გაკვირვებული შეაჩერდა შვილს: _ რას არ მოიგონებენ ეს ბავშვები! _ ჩაილაპარაკა, გოგონას ხელი ჩაავლო და წაყვანა დააპირა.

_ აქ მინდა დგომა! _ გაჯიუტდა პატარა.

„ნეტა მეც ბავშვი ვიყო“ _ ინატრა მანეკენმა.

_ წამოდი! _ მიეალერსა ქალი. გოგონა ვიტრინას მოსცილდა და გაჰყვა. თან უკან-უკან იხედებოდა და მანეკენს დამშვიდობების ნიშნად ხელს უქნევდა. ალერსმოწყურებულ მანეკენს ისევ აუჩქროლდა გული, წამისუმალ თვალისმომჭრელი შუქით აივსო ყველაფერი. აქამდე თავის თვალისათვის დაუნახავი მზეში ნაბანი შენობები, ხეები, ქვაფენილები, მომღიმარი ადამიანებიც კი დაინახა. ხის ტოტებში ჩიტების ჭიკჭიკი გაიგონა.

საღამოს, ყაყაჩოსფერკაბა ისევ ამოატარა დედამ. გოგონა მანეკენის წინ შედგა, უყურა, უყურა, მერე რაღაცით უკმაყოფილომ დიდი ქალივით ხელი ჩაიქნია, ქვედა ტუჩი გამობურცა და გაბუსული გაეცალა. ისე წავიდა, უკან არც კი მოუხედავს.

მერეც გამოჩნდა გოგონა. აქეთ ჩამოვლისას მანეკენს ალმაცერად გახედავდა ხოლმე, სახეზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდებოდა. მანეკენს მის დაცინვაზე გული ეწურებოდა. მხრებჩამოყრილი, ნაღვლიან თვალებს გააყოლებდა პატარას.

ერთხელ მანეკენმა თავისდაუნებურად შეამჩნია: გოგონას გვერდით, მისი გამოსახულების მსგავსი, ნაცრისფერი რაღაც გაწოლილიყო. დაიძვროდა გოგონა ადგილიდან, ამოძრავდებოდა ის რაღაც, გაჩერდებოდა _ გაჩერდებოდა ისიც.

მანეკენისთვის ამის დანახვა იმდენად უჩვეულო და მოულონელი იყო, რომ კინაღამ ადგილს მოსწყდა. უნდოდა იმ ნაცრისფერ გამოსახულებას შეხებოდა, შეეჩერებინა, მაგრამ თავს ზევით ფიცარი გაახსენდა და ისევ თავის სადარდებელს დაუბრუნდა...

ერთ საღამოს მანეკენმა სიზმარი ნახა... ყაყაჩოსფერკაბა მაღაზიაში შემოსულ დედას გამოეპარა, ვიტრინის წინ დადგა და ისევ ისე დამცინავად, უხმოდ შეაჩერდა მანეკენს...

_ გამოდი რა, გარეთ! _ დაარღვია ბოლოს დუმილი გოგონამ, _ წავიდეთ შინ... აი, მე არაფრის არ მეშინია... იცი, როგორ მებრალები! _ ნაღვლიანად თქვა და ჩაფირდა. მერე როგორც უფროსებისაგან გაეგონა ისე უთხრა:

_ სიცოცხლე ყველაზე ძვირფასია, მაგრამ არის კიდევ სხვა რამ, სიცოცხლეზე ძვირფასი _ სიყვარული, თავისუფლება... აი, მე ძალიან მიყვარს ვარსკვლავებით მოჭედილი ცარგვალის ყურება... ცარგვალს ვიტრინიდან ვერ დაინახავ, უნდა აომხვიდე. ღხვირწინ ატუზულ ამ ხეებს უნდა გასცდე და შუაგულ ქუჩაში დადგე.

მე მინახავს ცარგვალზე როგორ დასეირნობს მზე სხივთა ამალით. როგორ ამოდის და ჩადის.

შენ კი ვერ ნახავ...

ვერც მანდედან გამოხვალ და ვერც შუაგულ ქუჩაში დადგები, იმიტომ რომ გეშინია თავზე ფიცარი არ დაგცეს...

თანაც სულ მუდამ მებუტები, მართალს რომ გეუბნები იმის გამო.

ი... იჰ! _ ხელი ჩაიქნია ჩვეულებისამებრ, ცხვირი აიბუზა და წასასვლელად შეტრიალდა.

_ მოიცა! _ ძლივს ამოღერღა საქციელწამხდარმა მანეკენმა და ის იყო, რაღაცის თქმა დააპირა, რომ უცებ გოგონას ფეხებთან ისევ ის ნაცრისფერი რაღაც შეამჩნია. ერთბაშად სათქმელი შეცვალა და გოგონას კითხვა ესროლა:

_ დაიხედე ძირს, რა არის ეგ, უკან რომ დაგდევს ხოლმე?!

გოგონამ ანცი ღიმილით მოიხედა:

_ აღარ მებუტები?! ჰო, რა მკითხე? რაღაც დამყვება? რა უნდა დამყვებოდეს? _ გაკვირვებულმა ასფალტზე მიმოატარა თვალი და გაიცინა:

_ ა..ა, მივხვდი რაზეც მეკითხები, ეს ჩემი ჩრდილია.

_ ჩრდილი? რა არის ჩრდილი?

_ როგორ გითხრა... ჩრდილი ყველას და ყველაფერს აქვს. აბა დააკვირდი, ხეებს, სახლებს...

მანეკენს ასეთი რამ არასოდეს გაეგონა. საგნებზე დაკვირვების უნარი დაკარგული ჰქონდა. შიშს დაეთრგუნა სხვა ყველაფერი და ირგვლივ ვეღარაფერს ამჩნევდა.

_ მეც მაქვს ჩრდილი? _ წამოიძახა მანეკენმა და თვალები ძირს დახარა. თავის გვერდით ვერაფერი შემაჩნია და შეკრთა: „იქნებ ჩემს უკანაა გაწოლილი," _ დააიმედა თავი და ფრთხილად იკითხა:

_ სად არის ჩემი ჩრდილი?

_ შენს ჩრდილს ეძებ?

_ რატომ მარიდებ თვალს... მეც ხომ მაქვს ჩრდილი?!

_ არა, _ სევდიანად ჩაილუღლუღა გოგონამ.

_ რატომ?

_ ჩრდილი მზისეულია...

_ რას ნიშნავს მზისეული?

_ ჩრდილს მზე აჩენს, და აქრობს კიდეც.

_ ჩრდილი შეიძლება რომ მოკვდეს?

_ ჰო. მზე რომ ზედ თავზე დაგადგება, ჩრდილიც გაქრება. ზედმეტი, მჭახე სინათლე ადამიანსაც კი თვალს სჭრის, აბრმავებს.

_ ჩრდილი ჩნდება და ქრება... ის ყველას და ყველაფერს აქვს. _ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაილაპარაკა მანეკენმა და ჩაფიქრდა... მერე, უცებ შეძრწუნებულმა წამოიძახა:

_ ესე იგი, თუ სხეული გაქვს, ჩრდილიც გქონია... მაშ მე არაფერი ვარ?! _ ხმა ცოცხლად დამარხულ ადამიანს მიუგავდა, რომელიც შველას ითხოვდა.

_ მაშ მე არაფერი ვყოფილვარ?! _ იკითხა ხელმეორედ.

_ ჰო, არაფერია! _ დამცინავი ღიმილი აუთამაშდა სახეზე გოგონას და... ზმანებასავით გაქრა.

მეორე დილით მანეკენს სიზმარი გაახსენდა და სევდა შემოაწვა. „ეს ჩრდილი მზსიეული..." _ თითქოს ჩაესმა გოგონას ხმა და უცებ ათასი კითხვა დაუტრიალდა თავში... ქუჩისაკენ გაექცა მზერა, თვალი თავისთვის უჩვეულო დაკვირვებით მიმოატარა. ყველაფერს დააცქერდა: ხის ტოტებში მზის სხივები თამაშობდნენ, ძირს ოქროსფერი ჩრდილები დაფენილიყო და ამ მზისფერში ევლებოდნენ გაზონებზე

ყელმოღერებული ყვავილები და ბალახები. სხვაგანაც დალანდა ჩრდილები: მოფართხალე, დაბრეცილი, მოსიარულე, უძრავი, ნაცრისფერი და ოქროსფერი.

ერთმანეთში ირეოდა ჩრდილი და სინათლე. ქრებოდა, ჩნდებოდა.

„ყველას და ყველაფერს აქვს ჩრდილი... მე არა... მაშ არაფერი ვყოფილვარ?..“

აუწრიალდნენ ფიქრები.

„ჰო არაფერი... არაფერი!“ _ ჩაესმა გოგონას დამცინავი ხმა.

გულში ეკლად ჩარჩენილმა დაცინვამ გაამწარა. ცეცხლად მოედო.

„სიცოცხლე ყველაზე კარგია. მაგრამ...“

ჩაესმა ისევ ყაყაჩოსფერკაბას დამცინავი ხმა და გულში დანთებული ცეცხლი მთელ ტანზე მოედო... თვალი ხეების იქეთ, გადაღმა გაექცა...

„ქუჩის შუაგულში, შუქთა ჩანჩქერი იფრქვევა... ცარგგალზე სხივთა ამალით მზე დასეირნობს,“ _ ფიქრობდა მანეკენი. ყველაფერი ეს არასოდეს უნახავს, სულ ჩაკეტილში იჯდა. ვიტრინიდან ჭვრეტდა სამყაროს...

ერთბაშად მზისსხივა ფიქრი შემოუფრინდა: გავარდნილიყო გარეთ და ენახა თავისი ჩრდილი... ენახა ცარგვალი... მხრები ყვითელი მზისთვის მიეშვირა და გამთბარიყო... ეს სურვილი ზვავივით მოასკდა მის გულს და მანეკენი შეირხა... დამქანცველი ყოყმანისაგან თავის დაღწევის სურვილი დაეუფლა. მხრები რაღაცნაირად მსუბუქად აიქნია და ზეაფრენილი ფრინველის მსგავსად გარეთ გაიჭრა.

თავაწეული უსინათლოსავით მიდიოდა, ვერავის და ვერაფერს ხედავდა. ზევით, ზეცაში იყურებოდა. მზის გულისაკენ მიიწევდა. უცებ თავის ჩრდილს მოჰკრა თვალი, სიხარულს ვერ მოერია და დაიქუხა:

_ არარაობა არ ვარ, არა! _ კარგად რომ დარმწუნებულიყო, მთავარ ქუჩაზე გაენთო. თავისი ჩრდილიც თან გაიყოლა. შუაგულ გზაკტეცილზე ფეხშიშველა მიალაჯებდა. ირგვლივ ყველაფერი ოქროსფრად ბრწყინავდა. უცებ, გოგონა გაახსენდა და მისი ნათქვამი მოაგონდა: „ზედმეტი სინათლე აბრმავებს ადამიანს... ჩრდილი რომ მოკვდეს, საჭიროა, მზე ზედ თავზე დაგადგეს.“

„გაიქეცი სანამ მზე შუბისტარზე შედგებოდეს!..“ _ ჩასძახა ვიღაცა. მანეკენი გაიქცა, მირბოდა უმისამართოდ, თავისი ჩრდილის გადასარჩენად. გამვლელ-გამომვლელები ჩერდებოდნენ, გაკვირვებულები მიშტერებოდნენ მთავარი ქუჩის შუაგულში ფეხშიშველა, სირბილით მიმავალ კაცს.

_ გიჟია ეს!

_ გიჟი! _ თითს იშვერდნენ მისკენ. მანეკენი ხალხის ღრიანცელს ყურადღებას არ აქცევდა. გზადაგზა თავის მზისეულ ჩრდილს გადახედავდა და უხაროდა, რომ ისიც თან მისდევდა, ფეხდაფეხ, თვალებში მზის ნათელი ჩასდგომოდა, გაფშეკილი სხეული მოქნილ-ჰაეროვანი გახდომოდა. მსუბუქად მიჰქროდა, თითქოს ეს-ესაა ფრთებს გამოისხამს და ზეცაში გაფრინდებაო. მისი ოქროსფერი ჩრდილიც ნიავივით მსუბუქად მიჰყვებოდა.

ცარგვალი გალობდა.

უთავო ასანთის ღერი

მაგიდაზე საფერფლესთან ასანთის კოლოფი იდო. შიგ ტოლნი, სწორნი _ ლურჯთავა ღეროები ჩამწკრივებულიყვნენ. ერთმანეთს შედუღებულებივით მიტყუპებულებს, საძრაობა დაჰკარგვოდათ და სინათლსი მოლოდინში გარინდულიყვნენ. ერთი სული ჰქონდათ, როდის გახსნიდნენ კოლოფს.

_ ოჰ, ძლივს!..

_ ამას რას ვხედავ?

_ სწორედ რომ საკვივრელია!..

_ უჰ!.. _ აპუტუნდნენ, როგორც კი კოლოფში ხალვათობა იგრძნეს.

_ გაიგონე? _ ჰკითხა ერთმა ლურჯთავამ მეოერს.

_ რა?

_ აი, იმ ღერმა ჩანავლების წინ რომ წამოისლუკუნა.

_ კეფამელოტმა? კი, გავიგონე: ნეტავ არასოდეს გაეხსნათ კოლოფი, ან ლურჯთავიანი არა ვყოფილიყავიო.

_ რა უცბად ჩაქრა!

_ ჰო, ზოგი ერთბაშად ქრება, ზოგი ნელ-ნელა იწვის.

_ ზოგისაგან მხოლოდ კვამლი დადგება ხოლმე, ზოგისგან ცეცხლი. ნეტავ, იმ კეფამელოტივით ფიქრობენ სხვებიც? იქნებ ჩვენთვის მართლაც ცუდია კოლოფის გახსნა?

_ მაშინ ხომ სინათლესაც ვეღარ დავინახავდით?

_ ან იქნებ ჯობდეს ლურჯთავიანები არ ვიყოთ? აგერ, კუთხეში რომ მიკუნჭულა უთავო, მაგას არც ვინმე წაავლებს ხელს და, თუ წაავლებენ, გადააგდებენ.

თუ ბოლოს მიანც აღსასრულია, სადღაც მიგდებას, ჯობია აჰკვესო. ხომ მოგიკრავს თვალი, ლურჯთავებიანი როგორ აალდებიან და გაანთებენ ხოლმე სიბნელეს?

_ უჰ, უჰ, მართლაც! _ ახმიანდნენ ღეორები.

ლურჯთავიანების ბაასს ყური მოჰკრა და მტყუანივით მოიბუზა ასანთის უთავო ღერი. უილაჯო, არაფრის მაქნისი კიდევ უფრო მიიკუჭა კუთხეში და თითქოს კედელს შეენივთაო, ისე აეკრა.

მერე კოლოფის გახსნაც კი ვერ გაიგო. ძირს რომ დაეცა, მაშინღა გამოერკვა: ნეტა სად დავვარდიო; და ირგვლივ გაოცებით მიმოიხედა. აქეთ-იქით მიმოფანტულიყვნენ კოლოფიდან გადმოცვენილი ლურჯთავა ღეროები. თვითონ რბილ სავარძელში მოხვედრილიყო. სავარძლის ირგვლივ კნაჭა ფეხებზე შემდგარი ხის სკამები შეჯგუფებულიყვნენ და შემოსციცინებდნენ.

_ რას გვიბრძანებ, მეუფეო?

_ შენდა სამსახურად მოვედით, თქვენი ნებისა და სურვილების აღმსრულებელი ვართ...

გაოგნებული უთავო ღერი ჯერ კიედვ იმის ფიქრში იყო, ნეტავი სად ვარ, ჩემს თავს რა ამბავიაო, რომ სავარძელი ზევით ასწიეს.

_ რა ხდება? _ მოესმა ვიღაცის ხმა. ღერმა ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ სავარძელში მის მეტი არავინ იყო. „რა მემართება? ვლაპარაკობ და ჩემივე ხმა ვეღარ მიცვნიაო,“ _ დაასკვნა თავისთვის და პასუხით მოესმა:

_ იქ საპატიო და თვალსაჩინო ადგილზე უნდა დაგაბრძანოთ.

_ დაბლა, დაბლა დამიშვით!

_ არა, ჯერ ოთახი ხელში ატაცებული უნდა შემოგატაროთ! _ შემოსძახეს კნაჭაფეხა სკამებმა, _ დღეს ხომ ყველაზე პატივსაცემი თქვენ ბრძანდებით!

_ მე?

_ სწორედაც!

_ ა? _ წაილუღლუღა უთავო ღერმა, _ კოლოფშიც ასე ამბობდნენ ჩემზე, _ გაახსენდა და თვალები ჭყიტა, ყველაფერი უცხოფერი ეჩვენა. დაბლიდან მოწიწებით შემოსცქეროდნენ.

_ დიახ, ერთადერთი ჩვენი უფალი, სხვებში გამორჩეული... გვიბრძანე და გემსახურებით!

ხის კნაჭა ფეხები აპაკუნდნენ და სკამების პროცესია ჩლახაჩლუხით დაიძრა, ატაცებულებს მიჰქონდათ რბილი სავარძელი.

უთავო ღერმა დაბლა გადმოიხედა: ლურჯთავიანი ღერები კი კისრისტეხით გამორბოდნენ სავარძლისკენ და მიახლოებისთანავე რიგრიგობით ალდებოდნენ:

_ შენს სამსახურში დავიწვებით! _ გაჰყვიროდნენ, რაც შეეძლოთ...

ყველაფერი ეს ისე მართალი იყო, უთავომ თავდაპირველად რომ გაიოცა, ეს რა ხდებაო, ახლა თვალმოწკურული გაილურსა: „აი, თურმე რა ყოფილა," კოლოფში ყოფნა გაახსენდა: „იმიტომ მიბზუებდნენ ცხვირს, შურდათ ჩემი. ახლა კი, მადლობა ღმერთს, ყველაფერს მივხვდი. ერთადერთი, განსხვავებული თეთრი ასანთი ვყოფილვარ." ისიც გაახსენდა, როგორ იყო კედელთან მიბუზული, ლურჯთავიანების ჭორმართლობაც მოაგონდა:

„ზოგი ერთბაშად ქრება, ზოგი ნელ-ნელა იწვის... ზოგისგან კვამლი დგება, ზოგისგან ტანწოწოლა ცეცხლი. სადღაც მიგდებას სჯობს გაჰკვესო და სიბნელე გაანათო..."

უთავი ასანთმა თვალი მოავლო ძირს მყოფთ და კოლოფში მოსმენილს ქირქილით დააყოლა:

_ ზოგნიც ჩემნაირების, თეთრი ასანთის სადიდებლად, გზის მანათობლად ენთებიან...

ეს განაფიქრი უთავო ღერისათვის ისე სარწმუნო გახდა, გუნებანაქცევი შემოტრიალდა. გალაღებული სავარძელში ჩაეშვა და ბატონკაცურად გაიჯგიმა.

სიბნელეში, სათამაშოების თაროზე ერთმა თოჯინამ იკითხა:

_ ნეტავ ეს სკამები ასე ვის ეფოლორცებიან?

_ სავარძელს დაბადების დღეს უხდიან, _ მიუგო მეორე თოჯინამ.

ამაღლების ყვავილი

ოდაში სამი აკვანი იდგა. ერთ ჩვილს ჭინკა არწევდა, მეორეს _ ფერია. მესამეს, ხან ერთი წაუწვდიდა ხელს, ხან _ მეორე, თან თავთავიანთ იავნანას დამღეროდნენ...

ერთ კაცს უნახავი მეგობარი ეწვია. მასპინძელმა სტუმარი თავის საუცხოო კარ-მიდამოში გაატარა. ოქრო-ვერცხლიც აჩვენა და მედიდურად შეხედა: „ხედავ, რისი პატრონი ვარო!“

სტუმარმა მშვიდად დაათვალიერა ყველაფერი... ბოლოს ერთ, უცხო ჩაწნულ-ჩაგვირისტებულ სარტყელს დააშტერდა.

_ კურთხეულ იყოს შენი გამკეთებელიო, _ ჩაილაპარაკა.

მასპინძლის შვილმა ყური მოჰკრა სიტყვებს და ჩაფიქრდა:

„ყველას, ვინც აქ შემოსულა, ძვირფასი თვლების, უთვალავი ოქრ-ვერცხლის ნახვით თვალები ამღვრევიათ, სახე შეშლიათ, ენა დაბმიათ. ეს უბრალო, მაგრამ ნატიფად ნაკეთები სარტყელი ვერ შეუმჩნევიათ.

გაოცება ვეღარ დამალა, სტუმარს მიეახლა და ნაფიქრი გაანდო. სტუმარმა წყნარად ჩაიცინა:

_ სიმდიდრე კარგია, მაგრამ მასზე კარგი, სხვა რამ არის ყმაწვილო, არაფერი გსმენია ამაღლების ყვავილზე?

_ რა?! _ გაიკვირვა ვაჟმა.

_ კარგი იქნება, თუ ამ ყვავილს მოძებნი...

ჭაბუკი კაცის ნათქვამმა ჩააფიქრა. გუმანით იგრძნო, რაღაც ზემშვენიერს გულისხმობდა სტუმარი. საიდუმლოს ამოხსნის სურვილმა ააფორიაქა, მოსვენება დაჰკარგა.

ერთ დღეს მშობლებს გამოემშვიდობა და ამაღლების ყვავილის საძებნელად გასწია.

იარა, იარა და დაღლილი ერთ სახლთან შეჩერდა. ეზოში ორი კაცი რაღაცაზე დაობდა.

_ ღამე გამათევინეთ! _ ჭიშკარი შეაღო ჭაბუკმა. მოკამათეებმა ყაყანი შეწყვიტეს და სტუმარი შინ შეიპატიჟეს.

სუფრა გაუშალეს... საუბარს შეჰყვნენ...

_ ჩვენ ძმები ვართ! _ თქვა ერთმა, _ წეღან ვკამათობდით... ერთხელ ავმა კაცმა, ავი სამქე ჩაგვადენინა, ბოლოს მივხვდით, დანაშაული მოვინანიეთ. იმ დღიდან ჩემს ძმას ყველაფერზე გული აუცრუვდა, ყოველ ცისმარე დღეს ძილის წამალს სვამს. სულ სძინავს და სძინავს. ვეჩხუბები, ვუმტკიცებ, ბრძენთაგან ნათქვამსა ად გაგონილს: კარგი საქმე დარბაისელ კაცსა ჰგავს. თავისთვის არის, შენ უნდა მიხვიდე მასთან ცუდი, _ მოხეტიალე კაცს აბეზარასავით გზაზე დაგხვდება და ადვილად გადააწყდები. ხელი თუ არ ჰკარი, დაუპატიჟებელი სტუმარვიით აგეკიდება.

ძმას ვეუბნები, გამომყევი, ამაღლების ყვავილისაკენ მიმავალ გზას დავადგეთ-მეთქი... ამბობენ, სადღაც ერთ მთის მწვერვალზე ხარობსო, მზესთან ახლოს. ვოცნებობ იქ ასვლას, ეს ფიქრი მახალისებს, ფრთებს მასხამს...

მეორე დღეს ჭაბუკი გამოეთხოვა ძმებს და გზას დაადგა. ერთგან წყურვილის მოსაკლავად შეჩერდა. წყაროსთან ბერიკაცები ჩამომსხდარიყვნენ. ჭაბუკი მიესალმა.

_ ღმერთმა გაგიმარჯოს, _ დალოცეს მოხუცებმა, _ ცოტახნით შეისვენე, გვითხარი, საიდან მოდიხარ, საით გაგიწევია.

ჭაბუკი ჩამოჯდა...

_ ჩვენ ძმები ვართ, _ წამოიწყო დროულმა კაცმა, _ აბა თუ გამოიცნობ, რომელია ჩვენს შორის უფროსი?

ჭაბუკი ორთავეს მიაჩერდა. ერთს პირისახე ოქროსფრად უბრწყინავდა. თვალებში მაცოცხლებელი შუქი უციალებდა, აი ისეთი, განთიადისას რომ იცის ხოლმე, ამაზე თქვა, უმცროსიაო.

_ არა, _ უთხრეს ძმებმა, _ ეგ ჩვენზე დიდია. ეგრე იმიტომ გამოიყურება, ყოველგვარ ნივთიერ სიმდიდრესა და თანამდებობას ალმაცერად უყურებდა. მხოლოდ ამაღლების ყვავილის ხილვაზე ოცნებობდა. მისი არსებობა სჯეროდა.

_ ამაღლების ყვავილი? _ სახე წამოენთო ჭაბუკს, _ მეც იმას დავეძებ, ხომ ვერ მიმასწავლით გზას?

_ დარჩი ჩვენთან, _ უთხრეს ჭაბუკს ბერიკაცებმა, _ ჯერ აქ გაიკითხ-გამოიკითხე ყვავილის ამბავი და... მერე შენი გზით გასწიე.

_ ერთ კაცთან წაგიყვან, იქნებ იმისგან გაიგო ყვავილის ამბავი, _ შესთავაზა ძმებს შორის უმცროსმა. _ იმ კაცს სიკვდილის შიში აწუხებს. სულ მოწყენილია. ოღონდაც ვინმე იყოს მასთან და გაართოს, ასმევს, აჭმევს და ფულსაც გადაუხდის.

დადგა ჭაბუკი იმ მოწყენილ კაცთან, კაცმა შინ გამოკეტა და სულ მუდამ ამ ქვეყნის ამაოებაზე ესაუბრებოდა. დროდადრო ქირქილებდა: _ ნეტა რას დაეძებ ამ ამაღლების ყვავილს? დაჯექი, იმხიარულე, სვი და ჭამე. ეს შეგერგება მეტი არაფერიო.

ამ სოფელში ერთმანეთის ზეგავლენით სულ ასეთი ხალხი ცხოვრობდა. შეიკეტებოდნენ თავ-თავიანთ სახლებში და ქვეყანა რომ დანგრეულიყო, თავად თუ არ სჭირდებოდათ, ცხვირს გარეთ არ გამოყოფდნენ. მხოლოდ საკუთარ საქმეს აკეთებდნენ, სხვისი არა ენაღვლებოდათ რა. არ სწუხდნენ იმაზე, თუ ვინ როგორც ცხოვრობდა.

ვის უჭირდა,

ვის ლხინი ჰქონდა.

არ აინტერესებდათ, რა იქმნებოდა ახალი ქვეყნად, რა იბადებოდა, რა კვდებოდა. ცაზე ცისარტყელა რომ მოირკალებოდა, მაღლა ერთხელაც არ აიხედავდნენ.

ჭაბუკს ნელ-ნელა გულგრილობა შეეპარა. ზემშვენიერის ხილვის სურვილს ძილქუშის მსგავსი რაღაც დააწვა. თუმცა, ხანდახან გრძნობდა, რაღაც აწუხებდა, სულს უშფოთებდა, თითქოს ძვირფასი რამ დაკარგაო, ისე.

ერთ დღეს, მოწყენილ კაცს, სოფლის მამასახლისი ესტუმრაჟ იპურმარილეს, ისაუბრეს. ჭაბუკმა ამაღლების ყვავილი ახსენა. ღვინომორეული მამასახლისი გაკვივრებით შეაშტერდა, მერე თავისი სკამი ახლოს მიუჩოჩა და ყურში ჩასჩურჩულა:

_ ერთ დროს მეც ვოცნებობდი ამაღლების ყვავილის სახილველად წასვლაზე, მაგრამ აფორიაქებულ სიცოცხლეს უდარდელი ცხვორება ვარჩიე. სწორადაც მოვიქეცი... მამასახლისად რომ დამნიშნეს, იმ ხანებში ფიქრები ამეშალა... ერთიც ვნახოთ, გამიელვა თავში, ყველა იმ ყვავილის საძებნელად წავიდეს, მაშინ...

ჰოდა, გადავწყვიტე, ამ სოფლის ხალხისათვის ყვავილზე ფიქრის საშუალება მომესპო. ასეც მოვიქეცი. ათასგვარი რაღაცეები მოვიგონე:

დავსაქმე,

სამუშაო საათები დავუმატე... თავისუფალი დრო წავართვი.

დავღალე.

ნათესავებთან, მეგობრებთან მისვლის დრო მოვუსპე და კოლოფების მსგავს სახლებში გამოვკეტე. ნელ-ნელა იკარგებოდა ჩვევები, ადათები და იცი კიდევ რა ჩავიდინე? ამ სოფელში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა, თავისი ზენობრივი კანონები, მამა-პაპათაგან მიღებული, დაგროვილი ცოდნა ჰქონდათ კარგსა და ცუდზე. სულ ამაღლების ყვავილის ხსენებაში ამოსდიოდათ სული. ხალხი მათ ბაძავდა ყველაფერში: სიტყვა-პასუხში, ჩაცმა-დახურვაში, სურვილებში.

მამასახლისი ვიყავი, წესრიგის დაცვა მევალებოდა, ჰოდა, ერთ ღამით, ჩემი კაცები შევუსიე. შევიპყარი. ერთმანეთს თოკით გადავაბი და ხრამში გადავყარე... იმათ ნასახლარზე ღამეურები მომრავლდნენ ისე, რომ ირგვლივ სულ მთლად ჩამოაბნელეს.

ჭაბუკი უსმენდა და ფიქრობდა:

„რა ცუდად დავკარგე დღეები. დროზე უნდა გავცლოდი ამ სოფელს.“ მზად იყო გარეთ გაეგდო მამასახლისი. თავადაც ქუჩაში გავარდნილიყო გადმოეყირავებინა კოლოფის მსგავსი სახლები და ყველა, თავის ნებით შიგ შეკეტილი ადამიანები, გარეთ გამოეყარა. ან ტელევიზორის ანტენები გაეფუჭებინა, რომ ძველებურად აეხმაურებინა, გამოეცოცხლებინა ჩამკვდარი, მოწყენილი ქუჩები.

ჭაბუკი ამ წუთებში ველზე ამოსულ ყვავილს ჰგავდა, სარეველა ბალახით წალეკილს.

_ „არა, აქ მეტს ვეღარ გავჩერდები!“ _ გადაწყვიტა და უცებ შვება იგრძნო, გახალისდა. თითქოს დაკარგული ნივთი იპოვაო.

დაბრუნდა ბერიკაცებთან და ყველაფრეი უამბო.

ახლა შუათანა ძმამ წაიყვანა სხვაგან... შევიდა თუ არა ჭაბუკი სოფელში, გაოცდა. ყველგან ვეებერთელა სარკეები ეკიდა, მრუდე სარკეები. შიგ რომ ჩაიხედავდი, ისეთი კი არ ჩანდი, როგორიც მართლა იყავი, არამედ უფრო ლამაზი, მაღალი და მშვენიერი...

მერე და მერე ისე შეეჩვია ყველაფერ ამას, ვეღარ გრძნობდა, სარკეები მრუდე რომ იყო.

შენობების კედლებზე, ხეებზე, ირგვლივ სულ სარკეები იყო. ადამიანებსაც კი გულზე სარკეები ჩამოეკიდათ. ჭაბუკი ყველას მხიარულს, უდარდელს, ლამაზსა და ბედნიერს ხედავდა.

შური, მტრობა, ღალატი, გაჭირვება - ყველაფერი ეს, სარკეებში შებრუნებით იხატებოდა. მაგალითად, თუ ვინმე ტიროდა, სარკეში ისე ჩანდა, თითქოს იცინისო. „იქნებ აქ ვიპოვო ამაღლების ყვავილი?“ _ გაიფიქრა ჭაბუკმა.

კარგა ხანს ცხოვრობდა აქ... ერთხელ მის ფეხებთან ჩიტი დაეცა. ვაჟმა ხელში აიყვანა. ძლივს უფეთქავდა პაწია გული. რამდენმიე წამიც და ფრთები ჩამოუცვივდა გულისცემა შეუწყდა.

ჭაბუკმა თავი ასწია და გაოგნდა სარკეში ჩიტი მკვდარი კი არა, ცოცხალი ჩანდა. ფრთებს აფრთხიალებდა და გასაფრენად მიიწევდა.

ვაჟმა ხელი გაიქნია და უცებ გრუხუნ-გრუხუნით ჩამოიმსხრა, ჩამოგრიალდა, ჩამოიშალა ვეებერთელა სარკე. მერე მიდგა და ახლო-მახლო რაც სარკე იყო ყველა ჩაამსხვრია.

ჭაბუკი ერთბაშად ყველაფერს მიხვდა და შეკრთა...

ხალხიც გონს მოეგო, გაიაზრა რაც მოხდა და შეშფოთდა სხვაგარად ცხოვრება ვეღარ წარმოედგინათ. იმწამსვე სარკეების აღდგენა დაიწყეს. მაგრამ ვეღარ გაამთრელეს და საგონებელში ჩავარდნენ.

იფიქრეს, იფიქრეს და რადგან თავიანთი ნამდვილი სახე ეუცხოვებოდათ, მოიფიქრეს, დღეიდან ნიღბებით ვიაროთო.

ზოგმა ასხარას ნიღაბი მოირგო,

სულელმა _ ბრძენი კაცის,

ბრძენმა _ ბრიყვის,

ძუნწმა _ ხელგაშლილის,

გაიძვერამ _ პატიოსანი კაცისა.

ისე კარგად მოირგეს, რომ მალე ერთმანეთის ცნობა გაუძნელდათ. ამით კი ახალი თავსატეხი გაუჩნდათ... და ახალი თავშესაქცევი.

„სანამ გვიან არ არის, აქაურობას უნდა გავეცალო," _ გადაწყვიტა ჭაბუკმა და იმავე დღეს ბერკიაცებთან დაბრუნდა.

ახლა სულ უმცროსმა ძმამ წაიყვანა ერთ პატარა სოფელში. ჭაბუკი იქ უცნაურმა წარწერამ გააკვირვა: ჩიტების საავადმყოფო," _ ეწერა ერთ შენობას.

_ ნეტა გასაკვირი აქ რა არის? დაჭრილ ჩიტებს ვკურნავთო! _ უპასუხეს.

ჭაბუკი და მისი გამყოლი ერთ ჭიშკარს მიადგნენ. ის იყო უნდა დაეძახნათ: მასპინძელო, გარეთ გამოიხედეთ, რომ ზურგს უკან ვიღაცის ჩახველება გაიგონეს. მოიხედეს და მათკენ მომავლაი კაცი დაინახეს. მხარზე ვეებერთელა ლოდი შეედო და შინისაკენ მძიმედ მოაბიჯებდა. ეზოში შევიდა, ტვირთი ნელ-ნელა ძირს დაუშვა, წელში გაიმართა. დიდის რუდუნებით მოტანილ ლოდს დააცქერდა და სტუმრები თავისთან მიიხმო:

_ დააკვირდით, განა ლამაზი არ არის?! მომეწონა და მარტოკამ ათი კილომეტრი მხრით ვზიდე. ლოდი კი არა, სილამაზე მომქონდა მხრებით და ეს ძალას, ხალისს მმატებდა. _ თქვა და იქვე ბაღჩაში თავჩაქინდრულ ყვავილებს ჩამოუარა, მიეფერა და აჩურჩულდა:

_ ალბათ ომგწყურდათ, ახლავე დაგალევინებთ წყალს...

გუშინ დილით ფაფუკ ბაბუაწვერას მოვკარი თვალი. ასაფრენად მაღლა იწევდა. მინდოდა მენახა, როგორ აფრინდებოდა, მაგრამ წამით ჩამთვლიმა და ვერ შევამჩნიე. ვერც შროშანების ზანზალაკების ხმა მოვისმინე, ცისარტყელას რომ უგალობდნენ... _ გადაულაპაარკა სტუმრებს.

ჭაბუკს მოეწონა მასპინძელი და მასთან დარჩა. ცხოვრობდა მის ბინაში და ყოველდღე ხედავდა:

კაცს ბავშვივით უხაროდა მიწიდან ბალახის ამოწვერა, ყვავილის გაშლა.

ჩიტის ჭიკჭიკი,

მზის ამოსვლა.

ხალისიანად შრომობდა, არ ბუზღუნებდა. არავის არაფერს აყვედრიდა. სხვისი სიხარული ახარებდა და სხვისი დარდი ასევდიანებდა.

მადლიან საქმეს რომ აკეთებდა, გული კარნახობდა. კაცთმოყვარეობა უბიძგებდა და არც აინტერესებდა, ჩადენილ სიკეთეს სხვა შეამჩნევდა თუ არა...

ჭაბუკიც შველოდა კეთილ კაცს, მის ფარას უვლიდა, ყოველ დილით ჩიტების ჭიკჭიკს ისმენდა,

წყაროს ჩხრიალს,

არწივის ყივილს.

ყვავილების ყელმოღერებას უყურებდა.

ამოიღებდა სალამურს და აამღერებდა ხოლმე.

ხშირად მეოცნებე თვალებთი გახედავდა მწვერვალებს, იტაცებდა მათი სიმაღლე. მზის სამფლობელოში მოხვედრაზე ოცნებობდა. ამაღლებსი ყვავილის ნახვის სურვილი დღითი-დღე აწვალებდა.

_ მივდივარ! _ უთხრა ერთ დილით მასპინძელს. კაცმა სამსახურისთვის ფული შეაძლია. ჭაბუკმა არ გამოართვა.

_ მე იმას ფულს როგორ გამოვართმევდი. მანამედ სადაც კი ვიყავ, ჩემი გულსნადები ფშუტე ფიქრი მეგონა.

ამ კაცთან ყოფნამ კი ლამაზი ოცნებით ამავსო. ამაღლების ყვავილის ძებნის სურვილი დამიბრუნა _ თქვა ბერიკაცებთან დაბრუნებულმა ჭაბუკმა.

ბერიკაცები გაახარა ჭაბუკის ნათქვამმა.

_ ახლა კი შეგიძლიათ იმ მწვერვალზე ახვიდე და ყვავილისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგე. _ დალოცეს და გამომშვიდობებისას უთხრეს: _ ამაღლების ყვავილის სახილველად სხვადასხვა გზები არსებობს. ამ გზებმა სხვებიც ადგანან. ცუდი კაცნიც. ისინი იოლი გზით სიარულს ამჯობინებენ. მთის ძირში ჩასაფრდებიან. მწვერვალიდან ჩამომავალს, დაღლილობისაგან ჩაძინებულს თავს ესხმიან, ყვავილს პარავენ. გახსოვდეს, ბოროტება და სიკეთე ყოველთვის ერთმანეთის გვერდით დგანან. ბოროტი იმიტომ გააჩინა ამ ქვეყნად ღმერთმა, რომ სიკეთით მოვხიბლულიყავით.

ჭაბუკმა მადლობა გადაუხადა მოხუცებს და გზას დაადგა.

იარა, იაარ და მთის ძირს მაშინ მივიდა, როცა ვიწრო ბილიკზე სიკვდილ-სიცოცხლე ერთმანეთს შეხვდა.

_ გზა დამითმე! _ შესძახა სიკვდილმა.

_ შენ თვითონ დამითმე!) მიუგო სიცოცხლემ.

დიდხანს იომეს, ბოლოს სიცოცხლემ სძლია და გზა გააგრძელა.

სიკვდილი კლდის ქიმზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა:

_ „სად არის მაინც სიცოცხლის ძალა?“

უცებ ამაღლების ყვავილის მაძიებელი, კლდეზე ამომავალი ჭაბუკი დაინახა და გაუკვირდა: „როგორ, განა ვერ გრძნობს ჩემს აქ ყოფნას?!“ _ სს... ს-ს! _ ჩაიქირქილა, ქარბუქი ამოაგდო. ქარი მიეხალა ჭაბუკს და წააფორხილა. ვაჟმა მუხლი გაიმაგრა. ახლა სეტყვა წამოვიდა... მაინც მაღლა მიიწევდა.

გააფთრდა სიკვდილი, ყინვას მოუხმო, სველი ბილიკი მოყინა.

ის იყო ჭაბუკი წამით შედრკა, რომ მწვერვალზე რაღაც აციაგდა.

_ გაძელი როგორმე... _ ამხნევებდა ეს ზეციური შუქი.

„სანამ დაღამდება, უნდა ავიდე!“ _ გაიფიქრა ვაჟმა კლდეზე ბღოტიალისაგან ხელ-ფეხიდან სისხლი სდიოდა. მის ნაფეხურზე იისფერი კვალი რჩებოდა. ზედ ყვავილები ამოდიოდნენ, კლდის იასამნები, და ჭაბუკს ეჩურჩულებოდნენ:

_ ზევით ამაღლების ყვავილია, გამაგრდი!..

ჭაბუკმაც უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და დაღლილ-დაქანცული მწვერვალს თავზე მოექცა.

_ სად არის მისი ძლიერება ჩამოინგრაო თითქოს. სიცოცხლემ გაიცინა და სიკვდილს შესძახა:

_ შენთვის უცხოა სიამოვნება მწვერვალთა დაპყრობისა, ზემშვენიერის ხილვისა, მისთვის თავგანწირვა.

აენთო სიკვდილი, შიმშილს და წყურვილს მოუხმო. აფთრებივით ეძგერნენ ჭაბუკას, მაგარმ ვერ გათელეს...

მწვერვალზე თვალით უნახავი მშვენიერი ყვავილები ჰყვაოდნენ.

ერთად შეჯგუფულნი, დროდადრო ირწეოდნენ, შორიდან ისე ჩანდნენ, თითქოს ვარდისფერი ნისლი მოსდებიაო ველს. ჭაბუკს დაავიწყდა შიმშილი, წყურვილი. ფეხი წინ წადგა, მაგრამ ანაზდად ძილმა წაართვა თავი და ქუთუთოებდამძიმებული ყვავილებში ნელ-ნელა ჩაეშვა და ჩაწვა.

უცნაური სიზმარი ნახა: ...დაბლა, სოფლეში, ვიღაც კაცი დადიოდა და ყვიროდა:

_ გაიგეთ?! მწვერვალზე მშვენიერება ჰყვავის, ვინც მას ნახავს, ზეციურ ხმებს მოისმენს.

_ ავიდეთ, ვნახოთ!

_ ავიდეთ!.. _ დაიძახეს აქეთ-იქიდან.

ხალხი დაიძრა და ჭაბუკის ნაკვალევს გაჰყვა.

ისევ ამოვარდა ქარბუქი... ბევრი უკან დაბრუნდა. ზოგნიც შუა გზაზე გაჩერდნენ.

ნაწილმა მწვერვალს მიაღწია თუ არა, ველზე არც დაუდგამთ ფეხი ისე, ქვემოდან შეავლეს თვალი და მხრები აიჩეჩეს:

_ ეს არის ის ყვავილები?..

_ ეს არის საოცრება?

_ რატომ არ ისმის ზეციური ხმები? _ მერე მოუთმენლობამ სძლიათ და აყაყანდნენ: _ ეჰ, ჩავიდეთ დაბლა...

_ მშია!

_ მწყურია!

იმედგაცურებულები უკან ეშვებოდნენ, მაგრამ ძალა აღარ ჰყოფნიდათ და უფსკრულში იჩეხებოდნენ...

ჩაძინებულ ჭაბუკს წვეთები დაეცა სახეზე და გამოფხიზლდა...

_ „წყალი?!“ _ დაიჩურჩულა, გამშრალ ბაგებზე ენა მოისვა ად ის იყო თავი წამოსწია, რომ სიმღერასავით ჩაესმა:

_ ვენ ცის დობილები ვართ, ციურმა ზეცას შესთხოვა ნამი.

_ ნამიკრეფიებმა ყანწებში მოაგროვეს და გაპკურეს. _ ჩურჩულებდნენ ყვავილები. მერე ერთბაშად აკისკისდნენ:

_ ცისარტყელა.

_ ცისარტყელა!

_ მზე, მზე გამოვა! _ ატიტინდნენ.

ჭაბუკმა ცაზე გადმოკიდებულ ცისარტყელას ახედა.

_ რა გაყვირებთ? _ დაჰკივლა ყვავილებს ვიღაცამ, _ ძილი დამიფრთხეთ. ვერ გაჩუმდებით და დაიძინებთ?!

ბუ იყო, კლდის ნაპრალიდან თავი გამოეყო და ვიშვიშებდა.

_ რა დროს ძილია? _ გაიკვირვეს ყვავილებმა. _ ძილი ღამითაც გვეყოფა.

_ ხი... ხი... ხი... განა ახლა ღამე არ არის, ჩურჩუტებო?

_ ჰა, ჰა... ჰა! ღამეო. ახლა დღეა, დღე, შენ თავად ჩურჩუტო.

_ ოჰო, რის დღე, რა დღე? ეს სიტყვა სხვა დროსაც მომისმენია, მაგრამ რაც არ არსებობს, საიდან აღმოაჩენს ხოლმე? თანაც ამასწინათ კოდალა მიმტკიცებდა, ღამეზე უფრო მომხიბვლელიაო დღე.

_ მართალი უთქვამს! _ წამოიძახეს ყვავილებმა.

_ რას ამბობთ, განა მტკიცება უნდა იმას რომ ღამე ჯობით? თანაც ვინ შთაგაგონათ ასეთი სისულელე, თითქოს ქვეყნად რაღაც დღე არსებობდეს. ქვეყნად მხოლოდ ღამე არსებობს.

_ რას დაობთ? _ ჩამოსძახათ ცისარტყელამ, _ მე, მაგალითად, ღამე არასოდეს მინახავს და რაც არ მინახავს, არც შეიძლება ამქვეყნად არსებობდეს.

_ ჰი, ჰი... ჰი! _ სიცილისაგან კინაღამ გადაფიჩინდა ბუ, _ ღამე არ დამინახავსო, ბრმები ხომ არ ხართ?! მაშ დღე გაგიგია? ან ის, მზეა თუ არღაც?.. რომ ამბობენ:

ანათებსო,

ბრწყინავსო,

აშუქებსო.

როგორ შეიძლება რამე ანათებდეს და ვერ შევამჩნიო? აი, მე... ვარსკვლავებს ვხედავ, მთვარეს, ციცინათელებსაც. ეს რაღაც მზეა, თუ დღე, რომ არსებობდეს ხომ დავინახავდი?

ჭაბუკი მათ საუბარს ისმენდა და ფიქრობდა:

„ზოგისათვის ბნელი ნათელია, ზოგისათვის პირიქით. მაგალითად, ცისარტყელას მხოლოდ დღე უნახავს და ლამის არსებობა არა და არ სჯერა. ბუს კი _ დღის...

_ დღე სჯობია!

_ არა ღამე! _ დაობდნენ ველზე.

_ რომელი სჯობს, თქვენზე კარგად ჩვენ ვიტყვით! _ ყელი მოიღერეს ყვავილებმა.

_ ვითომ რატომ?! _ გაფაფხურდა ბუ.

_ იმიტომ რომ, ჩვენ ერთიც გვინახავს და მეორეც.

_ დღე გინახავთ? _ გაოცდა ბუ.

_ ღამე? _ გაიკვირვა ცისარტყელამ...

ამ დროს ჭაბუკს ზეციური ხმები ჩაესმა და წამოიწია...

_ ჩუმად, ამაღლების ყვავილი მღერის, _ აჩურჩულდნენ ყვავილები.

ჭაბუკი ზეწამოიჭრა, ყური მიუგდო და... წამოიძახა:

_ ამაღლების, ამაღლების ყვავილი მღერის!

მთამ მთას გადასძახა მისი ნათქვამი, ექომ ყველას კარზე ჩამოიარა და ქვეყანას მოჰფინა...

ჭაბუკს ხელ-ფეხი, დაბეგვილი სხეული აღარ აწუხებდა... ტკივილი მიყუჩდა თითქოს. გამოვლილ ტანჯვას არად აგდებდა, სახეზე ნათელი დაჰფენოდა.

ხელთ ამაღლებსი ყვავილი ეჭირა და ძირს, ბარისაკენ მოჰქონდა.

ოდოია

ცაზე გაწოლილი ზოზროხა ღრუბელი გაიზმორა, მხრები გაშალა, ძილი ჩამოიბერტყა. კვალდაკვალ მიმავალ ღრუბლებს თვალი ვერ ჰკიდა და აიყლარწა, კისერი ჟირაფივით დაიგრძელა, მიმოიხედა, ცაზე გამოშლილი ღრუბლები შემოქსაქსოდნენ. დასალიერში მზის საცხოვრებელთან მიმსხდარიყვნენ და ოქროსფერდაკრულები რაღაცის მოლოდინში გაყურსულიყვნენ.

გუნება აერია სეფეღრუბელს, აიქოჩრა, დაირუხრუხა...

მის დაძახილზე ქულა ღრუბლები აიშალნენ, აწრიალდნენ. წოპ-წოპა ქუდები დაიხურეს და წალიკ-წალიკ, ფაცაფუცით ცის შუაგულისკენ გამოეშურნენ.

_ ერთი, ორი, სამი... _ დაიწყო თვლა სეფეღრუბელმა, სათვალავში ეცოტავა, _ ერთი, ორი, სამი... ვინ გვაკლია?! _ დაიქუხა.

ქულა ღრუბლებმა ერთმანეთი შეათვალიერეს და წაიპუტუნეს.

_ აი, ის... ოდოია _ პატარა ღრუბელი.

_ სად, სად დაქანქალებთ?! მოძებნეთ თავგუნება და აქ მომიყვანეთ!

_ რა დროს ფრატუნა იყო, ისედაც გაგვიგრძელდა გზე, _ წამოიფოფრა ზონზროხა ღრუბელი.

ქულა ღრუბლები შეჩქვიფდნენ, აჩურჩულდნენ. გაიხედ-გამოიხედეს.

კვამლივით დაგრძელდნენ, ფეხისწვერებით დაეკიდნენ ზეცას.

დაიძენძნენ, მერე ნისლად ქცეულები, ხევ-ხევ, მინდორ-მინდორ აბორიალდნენ. სულ ტუსტუსით ჩამოიარეს ყველაფერი. გაფაციცებით დაეძებდნენ პაწია ღრუბელს.

მიწაზე წვებოდა მათი შემკრთალი ჩრდილები და ის იყო, მის ძებნაზე ხელი აიღეს, რომ ერთმა რუმბმუცელა, გატიკნულმა ღრუბელმა ხევში გახიდულს მოჰკრა თვალი!

_ აგერ, ოდოია, აქეთ-იქეთ! _ მოუხმო ამხანაგებს.

_ მოვდივართ! _ შეეხმიანენ მდევრები და სულ ფრენა-ფრენით დაადგნენ ნაჩვენებ გზას.

_ ხედავთ სად ყოფილა? _ აყიჭინდნენ მისვლისთანავე.

ოდოიას არც მათი შეძახილი გაუგია და არც მათი მისვლა უგრძნია.

გარინდულიყო ერთ ადგილას და ლოყებავარდისფერებული რაღაცას ჩაშტერებოდა.

_ აქ რას აკეთებთ?! _ შექუჩდნენ ხევის თავზე.

_ ჰაა! _ თითქოს სიზმარიდან გამოერკვა პაწია ღრუბელი.

_ არ გესმის, ოდოია!

ოდოიამ მეგობრებს ისე შეხედა, თითქოს მათ პირველად ხედავდა. მერე მიწაზე გაწოლილ ჩრდილებს მოჰკრა თვალი და შეკრთა:

_ იქით, იქით, წადით, ნუ შეჯგუფდებით...

_ შენს ძებნაში არაქათი გამოგვეცალა!

_ წადით-მეთქი!..

_ სეფეღრუბელი გიხმობს! _ ერთხმად შესძახეს შეცბუნებულებმა.

_ მოხვედით და, სულ გაილუმპა საცოდავი...

_ რას ღივღივებ?!

_ ვინ გაილუმპა?!

_ ვერ ხედავთ, დაბლა?!

პაწაწკინტელა ველზე, წყაროსთან ლურჯთვალას მორცხვად დაეხარა თავი...

_ იას, იას ვერ ხედავთ?!

_ ის?! _ გაოცდნენ ღრუბლები.

ვეებერთელა ზეცაზე ზონზროხა ღრუბელს დააცემინა. ხევის თავზე გადაყუდებული, გატიკნული ღრუბლები შეხტნენ და ცქაფაცქუფით ალაპარაკდნენ:

_ ოდოია!..

_ სეფეღრუბელი გიხმობს!

_ აქ მომგვარეთო!..

_ ბრძანა!

_ წამოდი ოდოია მაღლა!

_ მაღლა წამოვიდე? _ თითქოს ახლა მიხვდა პაწია ღრუბელი, რომ რაღაც უბრძანეს.

_ რას გახიდულხარ ამ ხევში? _ აიფოფრა ფოფინა ნისლი.

წამით ისევ გაირინდა ოდოია, ფიქრი გაეყინაო თითქოს...

_ იმ ღამით, _ ამოღერღა ძლივს, _ ქარმა ზეცის უბეში რომ შეგვრეკა, გამოგეპარეთ და ამ ხევში ჩამოვედი... მერე მზე იყო თაკარა, სიცხის ენები ლოკავდნენ მიწას, მარტოობით შემკრთალ იას, ლურჯთვალას, მზე მოვუჩრდილე... რომ გაიგონეთ? ახლა კი წადით... სულ გაილუმპა საცოდავი.

_ შენ კი არ წამოხვალ?

_ სეფეღრუბელი გველოდება!

_ უკიდეგანო სივრცეში სამოგზაუროდ გვიხმობს.

_ წავიდეთ ოდოია!

_ მე? არა, მე ვერ წამოვალ.

_ რას ჩურჩუტობ? _ აიფოფრნენ წასასვლელად გამზადებულები, _ სეფეღრუბელი გიხმობს!

ოდოია წამით გაყუჩდა, თითქოს ძილბურანში წავიდაო. მეხსიერებაში აურიალდნენ განცდილი სურათები... და თითქოს გულს ამოატანაო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ჩურჩულით წამოიწყო:

_ ამ ხევში გავჩნდი. მიწიდან პაწია ნაკადულად ამოვედი. ის-ის იყო თვალი გავახილე და ამბორი ვიგრძენი. ლურჯთვალა ია იყო. დასიცხულს თავი დაეხარა და მორცხვად მიღიმოდა.

ღამით ზღაპრებს მიყვებოდა უკვდავებაზე... სიყვარულზე... ერთხელ, თვალი რომ გავახილე, ვიგრძენი, მაღლა ავსულიყავი. სიოს ფრთებზე ვირწეოდი.

მეც არ ვიცი, როგორ, პაწია ღრუბლად ვქცეულიყავ. დაბლა ჩავიხედე, იას ჩასდგომოდა თვალში ცრემლი.

იმ ღამით, ცის უბეში თქვენთან ომ ვიყავი, მისი ხმა ჩამესმა თითქოს და გამოგეპარეთ...

უცებ მაღლა, სულ მაღლა ზოზროხა ღრუბელმა დაირუხრუხა.

ქულა ღრუბლები შეჩქვიფდნენ, აფაცურდნენ, ალაპარაკდნენ:

_ ავიდეთ მაღლა, ოდოია!

_ ვერ მივატოვებ იას.

_ რას აიკვიატე უხიაკი ფიქრი?

_ სხვაც ბევრია ლურჯთვალა ია.

_ იქნებ უკეთესებიც, ქვეყანა დიდია, ვეებერთელა.

„იმას ვინც მიყვარს, თუ ვუორგულებ, როგორღა ვიქნები სხვისი ერთგული, როგორღა შევიყვარებ სხვას?“ მე სხვა კი არა, მხოლოდ ეს ია მიყვარს. _ წაიჩურჩულა აქემდე მალულად თავისთვის ნალოლიავები ფიქრი ოდოიამ.

_ გონს მოეგე!

_ ჩვენს გზას დაადექი!

_ ნუ გააბრაზებ სეფეღრუბელს.

_ ია მიამბობდა ცისფერ ზღაპრებს უკვდავებასა და სივყარულზე...

_ ქარს აგიმხედრებს, აგწეწავს.

_ წვიმად ვიქცევი, სიცხის ენებით ალოკილ მიწას დავალბობ და ღივებს დავუკოცნი ტუჩებს.

_ ოდოია, სეფეღრუბელი გრიგალს გამოგიგზავნის.

_ გადაგკარგავს.

_ გაგაქრობს.

ოდოიას ფეხიც კი არ მოუცვლია, იდგა გაფითრებული და ფიქრობდა:

„თვალი გავახილე თუ არა, იას ამბორი ვიგრძენი...

ია მიყვებოდა ცისფერ ზღაპრებს უკვდავებასა და სიყვარულზე. _ არა, მე აქედან ვერსად წამოვალ! _ წამოიძახა...

გაშტერებული, თვალებდაჭყეტილი შესცქეროდნენ ქულა ღრუბლები ოდოიას. უცხოფერი ეჩვენათ იგი რაღაცნაირად ავარდისფერებული, სხივშერჩენილი და ოქროსფერდაკრული.